პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

სამშაბათი, 29 აპრილი, 1952 წ. № 102 (9262). ფასი 20 კაპ.

მასწავლებლებო, სახალხო განათლების მუშაკებო! შეაიარაღეთ მოსწავლენი მეცნიერების საფუძვლების ცოდნით! აღზარდეთ ჩვენი ახალგაზრდობა საბჭოთა სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულის სულისკვეთებით, ამზადეთ კომუნიზმის აქტიური მშენებლები!

მედიცინის მუშაკებო! აუმჯობესეთ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, ხელმძღვანელობთ თქვენი ცოდნა მოწინავე მეცნიერების საფუძველზე! დანერგეთ პრაქტიკაში საბჭოთა სამედიცინო მეცნიერების მიღწევები!

(საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან).

მოსკოვი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი

ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე!

თბილისის პირველი საოლქო პარტიული კონფერენცია მგზნებარე, გულითად სალამს გიძღვნით თქვენ, საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს, საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების ორგანიზატორს, კომუნიზმის გენიალურ ხუროთმოძღვარს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის დიდ მედროშეს.

საქართველოს რესპუბლიკაში თბილისისა და ქუთაისის ოლქების შექმნა, რომლის ინიციატივა თქვენ გეკუთვნით, ამხანაგო სტალინ, დიდი მნიშვნელობის ფაქტია. ეს საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო კონკრეტულად და ოპერატიულად ვუხელმძღვანელოთ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის, მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგს.

თავიანთ პირველ კონფერენციაზე თბილისის ოლქის ბოლშევიკები მოვიდნენ ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, თქვენს გარშემო, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, ერთიან მონოლითურ რაზმად შემჭიდროებულნი.

ჩვენი ოლქის მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია დაუღალავად შრომობენ ახალ წარმატებათა მისაღწევად სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში, თავიანთი წვლილის გასაოდენ ბლად კომუნიზმის დიად ნაგებობათა მშენებლობაში. ჩვენი ოლქისა და მთელი საქართველოს ინდუსტრიის სიამაყეს და მშვენებას წარმოადგენს რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, რომელმაც უკვე ასეული ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ფოლადი მოგვცა. ბლუმინგის ამუშავების შემდეგ რუსთავიდან მრეწველობა იღებს არამარტო ნაგლინს, არამედ მილნამზადებსაც. მოქმედ საწარმოთა რიგებში ჩადგა გორის ბამბეულის კომბინატი. გაიხსნა სამგორის ზემო მაგისტრალური არხი. მიღწევებია მოპოვებული სოფლის მეურნეობაშიც.

ჩვენი წარმატებანი უფრო მეტი იქნებოდა, რომ დაშვებული არ ყოფილიყო სერიოზული შეცდომები და ჩავარდნები საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის საოლქო კომიტეტის, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მუშაობასა და ხელმძღვანელობაში. როგორც საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, ისე საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელები, დაივიწყეს რა თქვენი ბრძნული მითითება მასებთან კავშირის განმტკიცების შესახებ, მოწყდნენ მასებს, ყურს არ უგდებდნენ მათ ხმას, არ სწავლობდნენ მათგან. კმაყოფილდებოდნენ რა საშუალო მაჩვენებლებით, ეძლეოდნენ თვითდამშვიდებას. თქვენ ყოველთვის მიგვითითებდით, ამხანაგო სტალინ, რომ სამეურნეო წარმატებებს აქვს თავისი ჩრდილოვანი მხარეებიც, რომ წარმატებანი და მიღწევები ხშირად ბადებენ უდარდელობის, უზრუნველობის, თვითკმაყოფილების განწყობილებებს, რაც აჩლუნგებს პოლიტიკურ აღღოს და ადუნებს ადამიანებს.

პარტიის თბილისის საოლქო კომიტეტსა და თბილისის ოლქში შემავალ საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში მუშაობის მანკიერმა სტილმა გამოიწვია ის, რომ პარტიულ ორგანიზაციებში გაშლილი არ იყო კრიტიკა ქვემოდან და თვითკრიტიკა, ყურადღება არ ექცეოდა ნაკლოვანებათა მხილებას და მათს დროულად აღმოფხვრას. ბევრ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა კრიტიკის ჩახშობას, რაც ხელს უშლიდა ჩვენს წინსვლას, მშრომელთა შემოქმედებითს მუშაობას, ბორკავდა მასების ინიციატივას.

პარტიის საოლქო კომიტეტის, საქალაქო კომიტეტების, რაიკომების მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებებს მოწმობენ ის ფაქტები, რომ ოლქში ჯერ კიდევ არის ისეთი საწარმოები, რომლებიც ვერ ასრულებენ გეგმებს, ჩვენს ქვეყანას აკლებენ მილიონობით მანეთის პროდუქციას, მუშაობენ არარენტაბელურად, უშვებენ დაბალხარისხოვან პროდუქციას. ეს გამოწვეულია იმით, რომ პარტიული ორგანიზაციები, კმაყოფილდებოდნენ რა საერთო მაჩვენებლებით, ყურადღებას არ აქცევდნენ ჩამორჩენილ საწარმოებს, არ იღებდნენ ზომებს მათი წინ წაწევისათვის. იმ საწარმოებშიც კი, რომლებიც მოწინავეებად ითვლებოდნენ, ღრმად ვერ წვდებოდნენ წარმოების ეკონომიკის საკითხებს, ნაკლებად იბრძოდნენ ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების, ნოვატორთა შრომის მეთოდების დანერგვის, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის, ახალი რეზერვების გამოვლინების, შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისა და რენტაბელობისათვის.

დიდი ნაკლოვანებანია სოფლად მუშაობაშიც. მოწინავე კოლმეურნეობებთან ერთად იშვიათი როდია ჩამორჩენილი კოლმეურნეობები. მთელ რიგ რაიონებში არის სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების დამახინჯებისა და დარღვევების, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი საკუთრების დატაცებისა და განიავების შემთხვევები; კონკრეტული დამნაშავენი კი ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკთა წაყრუების შედეგად დაუსჯელი რჩებოდნენ.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები და შეცდომებია დაშვებული იდეოლოგიურ მუშაობაში, ხელმძღვანელი კადრების იდეურ-პოლიტიკური გამოწრთობის საქმეში. საკმაო ძალით არ წარმოებდა ბრძოლა თვითეული კომუნისტის მარქსისტულ-ლენინური აღზრდისათვის, მშრომელთა შეგნების დონის ამაღლებისა და ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების აღმოფხვრისათვის. ამის შედეგად იყო სიფხიზლის დაჩლუნგების, უყაირათობის, გაფლანგვის და მტაცებლობის შემთხვევები.

ძვირფასო ამხანაგო სტალინ! ჩვენ კარგად გვახსოვს თქვენი მითითება, რომ პარტიული მასები თავიანთ ხელმძღვანელებს ამოწმებენ აქტივის სხდომებზე, კონფერენციებსა და ყრილობებზე მათი ანგარიშების მოსმენით, ნაკლოვანებათა გაკრიტიკებით, ხელმძღვანელ ორგანოებში მათი არჩევითა თუ არარჩევით.

თქვენი ბრძნული მითითებების საფუძველზე, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე, ჩვენ სერიოზული ნაკლოვანებანი გამოვამჟღავნეთ პარტიის საოლქო კომიტეტის, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მუშაობაში, თბილისის ოლქის სამეურნეო, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში.

ჩვენო დიდო მასწავლებელო, ამხანაგო სტალინ! თქვენმა გამჭრიახმა თვალმა შეამჩნია ჩვენი პარტიული, სამეურნეო და კულტურული მუშაობის ნაკლოვანებანი, თქვენ თავის დროზე გვიჩვენეთ მათი აღმოფხვრის გზები. უსაზღვრო მადლობას გიძღვნით მამობრივი მზრუნველობისათვის და პირობას გაძლევთ, რომ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა წარმატებით შევასრულოთ თქვენს მიერ დასახული ამოცანები.

პირობას გაძლევთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, ძირეულად გარდავქმნათ და ყოველმხრივ გავაუმჯობესოთ პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა, ფართოდ გავაჩაღოთ ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა, სწორად, თქვენი მითითების მიხედვით შევარჩიოთ, გავანაწილოთ კადრები და ვუხელმძღვანელოთ მათ, აღვზარდოთ ისინი ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, გავაძლიეროთ მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი, გავაძლიეროთ შემტევი რევოლუციური სიფხიზლე.

მთელ ჩვენს ენერგიას, შემოქმედებითს ძალებს მოვახმართ სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებისათვის ბრძოლას, გავაჩაღებთ სოციალისტურ შეჯიბრებას საწარმოო გეგმების ყველა მაჩვენებლების მიხედვით ვადამდე შესრულებისათვის, ვიბრძოლებთ მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, გავამშვენიერებთ და კიდევ უფრო კეთილმოწყობილს გავხდით ქალაქებსა და სოფლებს.

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე! გადაუდებელ საბრძოლო ამოცანად დაგვისახეთ უზრუნველყოთ საქართველო საკუთარი წარმოების მარცვლეულით. ამ დიდი ამოცანის შესრულებაში გადამწყვეტი როლი თბილისის ოლქმა უნდა შეასრულოს. ჩვენ ყველა ღონისძიებას მივიღებთ და დავრაზმავთ სოფლის მშრომელებს ამ დავალების წარმატებით შესრულებისათვის, თბილისის ოლქს გადავაქცევთ საქართველოს რესპუბლიკის პურის ბეღლად, მივაღწევთ მევენახეობის, მეხილეობის, მეაბრეშუმეობის, მეცხოველეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მძლავრ აღმავლობას.

ჩვენო დიდო ბელადო და ბრძენო მასწავლებელო! ნახევარი საუკუნის წინათ საქართველოსა და ამიერკავკასიაში თქვენ საფუძველი ჩაუყარეთ ბოლშევიკურ ორგანიზაციას, აღზარდეთ და გადაარჩინეთ იგი ლენინ-სტალინის პარტიის მტკიცე და საიმედო რაზმად. თქვენი ტრადიციებით აღზრდილი თბილისის ოლქის პარტიული ორგანიზაცია უფრო მჭიდროდ დარაზმავს თავის რიგებს საკავშირო კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და თქვენს გარშემო, მშობლიურო ამხანაგო სტალინ. ჩვენ მზადა ვართ მთელი ჩვენი ძალა მოვახმაროთ პარტიისა და მთავრობის ყოველი დავალების შესრულებას.

სულითა და გულით გისურვებთ მრავალი წლის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის საბედნიეროდ!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ სამშობლოს — მთელ მსოფლიოში მშვიდობის დიდ ბურჯს!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის დიდ ბელადსა და ბრძენ მასწავლებელს, ჩვენს საყვარელ მშობლიურ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს!

თბილისის პირველი საოლქო პარტიული კონფერენცია

1952 წლის 27 აპრილის დღის სხდომა

27 აპრილს დილით გაიმართა თბილისის პირველი საოლქო პარტიული კონფერენციის მეორე სხდომა. გრძელდებოდა კამათი საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის ბიუროს საანგარიშო მოხსენების გამო.

კამათში გამოვიდნენ ამხანაგები **ხ. იშხანოვი** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, **ნ. გაბუნია** — ამიერკავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილების უფროსი, **ბ. ყურაშვილი** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული დასახლების სამმართველოს უფროსი, **ა. ჭიკინაძე** — საქართველოს კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის მდივანი, **ი. რთველიაშვილი** — საქართველოს კ. პ. (ბ) ქარელის რაიკომის მდივანი, **ა. ბექაური** — საქართველოს კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის მდივანი, **მ. გრიგოლია** — საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მილიციის სამმართველოს უფროსი, **გ. ფოფხაძე** — საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის მდივანი, **ჯ. მამედოვი** — მარნეულის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, **ა. ხუჯაძე** — საქართველოს კ. პ. (ბ) მცხეთის რაიკომის მდივანი, **ხ. პაატაშვილი** — თელავის რაიონის სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავის“ თავმჯდომარე, **ვ. ეგნატაშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი, **ი. ყუჯიაშვილი** — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, **შ. ბერიანიძე** — საქართველოს ალკა თბილისის საოლქო კომიტეტის მდივანი, **მ. ლელაშვილი** — სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სს რესპუბლიკაში, **კ. ბუჯიაშვილი** — საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის მდივანი.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ზ. ნ. კეცხოველმა.**

ამით დამთავრდა კამათი საანგარიშო მოხსენების გამო.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. **ა. გიგოშვილმა.**

კონფერენცია გადადის საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის ბიუროს მუშაობის შეფასებაზე.

იღებენ წინადადებას: საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის მუშაობა საანგარიშო პერიოდში ცნობილ იქნას დამაკმაყოფილებლად.

კონფერენცია ირჩევს კომისიას პრაქტიკულ ღონისძიებათა შესამუშავებლად.

კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ამხ. კ. **გურგენიძის** მოხსენება.

ხანგრძლივი ტაშის გრიალში იგი აცხადებს, რომ თბილისის ოლქის ყველა რაიონულ და საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე თბილისის საოლქო პარტიული კონფერენციის პირველ დელეგატად ერთსულოვნად არჩეულია ამხანაგი **ი. ბ. სტალინი.**

ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან მომხსენებლის ცნობას თბილისის პირველი საოლქო პარტიული კონფერენციის დელეგატებად დიდი სტალინის თანამებრძოლების, ამხანაგების **ვ. მ. მოლოტოვის, გ. მ. მალენკოვის** და **ლ. პ. ბერიას** ერთხმად არჩევის შესახებ.

კონფერენციაზე არჩეულია 498 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით და 68 დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით.

მომხსენებელს მოჰყავს ცნობები კონფერენციის დელეგატების შემადგენლობის შესახებ.

451 დელეგატი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით. 26 დელეგატი სოციალისტური შრომის გმირია. დელეგატთა შორის 27 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, 113 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და 252 მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების დეპუტატია.

დელეგატთა შორის 75 ქალია. კონფერენციის დელეგატთა შემადგენლობაში 142 პარტიული მუშაკია, 13 კომკავშირული მუშაკი, 69 მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკი, 105 საბჭოთა-ადმინისტრაციული ორგანოებისა და პროფკავშირების წევრი, 57 ხოფლის მეურნეობის მუშაკი, 36 ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწე და სხვ.

დელეგატთა საერთო შემადგენლობის 91,1 პროცენტს აქვს უმაღლესი და საშუალო განათლება, 44 დელეგატს, საერთო და სპეციალური განათლების გარდა, მიღებული აქვს უმაღლესი პარტიულ-პოლიტიკური განათლება.

კონფერენცია ერთხმად ამტკიცებს სამანდატო კომისიის მოხსენებას.

შემდეგ კონფერენცია გადადის დღის წესრიგის მეორე საკითხზე — საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის არჩევნებზე.

ქვეყნდება საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქცია ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნების შესახებ.

კონფერენციის დელეგაციების წარმომადგენელთა თათბირის დავალებით საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანს ამხ. **გ. ზედგინიძეს** შეაქვს წინადადება — პარტიის თბილისის საოლქო კომიტეტში არჩეულ იქნას 65 წევრი და 19 კანდიდატი, ხოლო სარევიზიო კომისიაში — 7 კაცი.

ეს წინადადება მიღებულია.

შემდეგ კონფერენცია ასახელებს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა და კანდიდატების კანდიდატურებს.

ირჩევენ დამთვლელ კომისიას.

შემოდის წინადადება — გაეგზავნოს მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინს.

საერთო აღტაცებით ყველანი ფეხზე დგებიან. დარბაზში იმართება ოვაცია პარტიისა და ხალხის გენიალური ბელადის, კომუნიზმის დიდი ხუროთმოძღვრის, საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის — ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

დელეგატები აღფრთოვანებით იღებენ მისალმების ტექსტს.

თავმჯდომარე აცხადებს შესვენებას შემდეგ სხდომამდე.

27 აპრილის საღამოს სხდომა

27 აპრილს საღამოს გაიმართა თბილისის პირველი საოლქო პარტიული კონფერენციის მესამე სხდომა.

კონფერენცია იღებს ვრცელ დადგენილებას საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის ბიუროს საანგარიშო მოხსენების გამო. დადგენილებაში ასახულია თბილისის ოლქის პარტიული ორგანიზაციების წინაშე მდგომი ახალი დიდი ამოცანები.

კონფერენციის დელეგატები აღფრთოვანებით იღებენ დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის ამხანაგ ლ. პ. ბერიასადმი მისალმების ტექსტს.

შემდეგ მოხდა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე ამხ. **ა. ბექაური** აცხადებს ფარული კენჭისყრის შედეგებს.

კონფერენციის მონაწილენი უდიდესი აღფრთოვანებით ეგებებიან ცნობას საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის შემადგენლობაში პარტიისა და ხალხის დიდი ბელადის იოსებ ბესარიონის-ძე **სტალინის** ერთხმად არჩევის შესახებ. ყველანი ფეხზე დგებიან, დარბაზში იმართება მქუხარე ოვაცია.

დელეგატები მხურვალე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან ცნობას საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის წევრად დიდი **სტალინის** ერთგული თანამებრძოლის—ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** ერთხმად არჩევის შესახებ.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის წევრთა შორის არიან ამხანაგები ა. ი. მგელაძე, ზ. ნ. კეცხოველი, ზ. ნ. ჩხუბიანიშვილი, ვ. გ. ცხოვრებაშვილი, ვ. მ. ბაქრაძე, რ. ა. კვირკველია, ვ. დ. ბუჯიაშვილი, ნ. მ. რუხაძე, კ. დ. ბუჯიაშვილი, ი. დ. კოჟლამაზაშვილი, კ. ს. ციმაკურიძე, ს. მ. იშხანოვი.

დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე აცხადებს, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში დასახელებული ყველა კანდიდატი არჩეულია.

კონფერენცია ამტკიცებს დამთვლელი კომისიის მოხსენებას.

თავმჯდომარე ამბობს, რომ დღის წესრიგი ამოწურულია და კონფერენციას დახურულად აცხადებს. ყველა დელეგატი ფეხზე დგება და მღერის პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“. (საქდესი).

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1952 წლის I კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაობა და საქონელბრუნვა საქართველოს სს რესპუბლიკაში 1952 წლის I კვარტალში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

მრეწველობა

I

რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოების 1952 წლის I კვარტალის გეგმა შესრულებულია 100,9 პროცენტით, აქედან საკავშირო მრეწველობის ხაზით კვარტალური გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით, რესპუბლიკური მრეწველობის ხაზით — 100,1 პროცენტით.

1952 წლის I კვარტალში მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება 1951 წლის I კვარტალთან შედარებით გადიდდა 11 პროცენტით, აქედან საკავშირო მრეწველობის ხაზით — 16 პროცენტით, რესპუბლიკური მრეწველობის ხაზით — 8 პროცენტით.

1952 წლის I კვარტალში გეგმის გადამეტებით მნიშვნელოვანი რაოდენობით არის გამოშვებული მარგანეცის მადანი, ქვანახშირი, ელექტროენერგია, ფოლადი, ცემენტი, შიფერი, ასანთი, დაწებებული ფანერი, დახერხილი ხე-ტყის მასალა, მაკარონისა და პურ-ფუნთუშის ნაწარმი და სხვა სახეობის სამრეწველო პროდუქცია.

II

საქართველოს სსრ ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების მიერ მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების 1952 წლის I კვარტალის გეგმის შესრულება შეადგენს:

	1952 წლის I კვარტალის გეგმის შესრულება პროცენტობით
კვების მრეწველობის სამინისტრო	107
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	121
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	98
სატყეო მრეწველობის სამინისტრო	99,3
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	77
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	93
აქედან	
რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობა	95
რაიონული დაქვემდებარების მრეწველობა	92
საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	99,8
საქართველოს სარეწაო საბჭო	92
საქართველოს ინვალიდთა კოოპერაციული კავშირი	89

თუმცა მთლიანად მრეწველობამ საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა შეასრულა, მაგრამ კვების მრეწველობის და ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროებმა ზოგიერთი მნიშვნელოვანი სახეობის პროდუქციის ნატურით წარმოების კვარტალური გეგმა ვერ შეასრულეს.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის პლენუმის შესახებ

1952 წლის 27 აპრილს გაიმართა თბილისის პირველი საოლქო პარტიული კონფერენციის მიერ არჩეული საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის პირველი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. **კ. დ. ბუჯიაშვილი.**

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად არჩეულია ამხ. **ა. ა. გიგოშვილი,** საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის მდივნებად — ამხანაგები **გ. ს. სეხნიაშვილი, გ. გ. ფოფხაძე, ე. გ. ქურციკიძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრებად პლენუმმა აირჩია ამხანაგები **კ. დ. ბუჯიაშვილი, ი. პ. ყუჯიაშვილი, ა. ა. გიგოშვილი, გ. ს. სეხნიაშვილი, გ. გ. ფოფხაძე, ე. გ. ქურციკიძე, გ. პ. ზედგინიძე, გ. ს. ბაბუნაშვილი, ა. ს. ბედიაშვილი.**

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატებად არჩეული არიან ამხანაგები **შ. ს. ბერიანიძე, დ. ვ. მჭედლიშვილი.**

პლენუმმა საოლქო გაზეთ „გამარჯვების“ რედაქტორად დაამტკიცა ამხ. **დ. ვ. მჭედლიშვილი.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ა. ი. მგელაძემ.**

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1952 წლის I კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

III

1952 წლის I კვარტალში უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1952 წლის I კვარტალის გეგმის შესრულება პროცენტებით
მარგანეცის სასაქონლო მადანი	105
ქვანახშირი	104
ნავთი	103
ფოლადი	103
ელექტროენერგია	112
სატვირთო ავტომობილები	109
შახტის ტრანსპორტიორები	100
ბაგირის გზის ვაგონეტები	100
ლითონსაჭრელი დაზგები	100,3
საქსოვი დაზგები	100
ცემენტი	104
შიფერი	115
აგური	69
კრამიტი	64
კირი	91
ასანთი	106
დაწებებული ფანერი	117
დახერხილი ხე-ტყის მასალა	105
სამასალე მერქნის გამოზიდვა	81
შეშის გამოზიდვა	100,8
ქაღალდი	99
ბამბა	99,5
ბამბის ნართი	95
ბამბის ქსოვილები	97
შალის ქსოვილები	103
აბრეშუმის ქსოვილები	85
ნედლი აბრეშუმი (გრეჟა)	98
წინდის ნაწარმი	103
ტრიკოტაჟის საცვლები	89
ზედა ტრიკოტაჟი	95
ფეხსაცმელი	87
მაგარი ტყავეული	100,9
რბილი ტყავეული	86
საწოლები	99,9
საშენი ლურსმანი	71
პიანინოები და როიალები	86
თევზეფქა	13
ერბო-კარაქი	89
მარგარინის ნაწარმი	96
მცენარეული საშემელი ზეთი	85
ყველი	69
ხორცი	200
ძეხვეული	98
საკონდიტრო ნაწარმი	103
მაკარონის ნაწარმი	106
პურ-ფუნთუშის ნაწარმი	109
სპირტი	111
კონიაკი	122
ყურძნის ღვინო	97
ლუდი	106
მინერალური წყლები	103
პაპიროსი	102
საპონი	103

IV

მეტმა წილმა დიდმა სამრეწველო საწარმოებმა (ტრესტებმა) შეასრულეს საერთო პროდუქციისა და ნატურით სამრეწველო პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეობათა გამოშვების კვარტალური გეგმა. ამასთან ერთად, ზოგიერთმა საწარმომ (ტრესტმა) თუმცა შეასრულა საერთო პროდუქციის გეგმა, მაგრამ ვერ უზრუნველყო ზოგიერთი სახის პროდუქციის ან ასორტიმენტის გეგმის შესრულება, ხოლო ცალკეულმა საწარმოებმა ვერ შეასრულეს საერთო პროდუქციისა და ნატურით პროდუქციის გამოშვების გეგმა:

საკავშირო მრეწველობა

1. საერთო პროდუქციის გეგმა შეასრულეს, მაგრამ ზოგიერთი სახეობის პროდუქციისა თუ ასორტიმენტის გეგმა ვერ შეასრულეს:

ამიერკავკასიის მეტალურგიულმა ქარხანამ, ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ, მანქანათმშენებელმა ქარხანამ „მაღაროელმა“, გორის ბამბეულის კომბინატმა, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატმა, ფაბრიკა „საქტრიკოტაჟმა“, ბერიას სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანამ.

2. საერთო პროდუქციისა და ნატურით პროდუქციის გამოშვების გეგმა ვერ შეასრულეს:

	1952 წლის I კვარტალის საერთო პროდუქციის გეგმის შესრულების პროცენტი:
ფეროშენაღნობთა ქარხანამ	97
ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანამ	96
ენგურის ქაღალდის კომბინატმა	96
საქართველოს თამბაქოს ნედლეულის ტრესტმა	95
მარგარინის ქარხანამ	93
საქართველოს მარმარილოს კომბინატმა	91
ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონულმა ელექტროსადგურმა	90
ხრამჰესმა	90
კვაისის მაღაროთსამმართველომ	88
საქართველოს ნავთობამამძიებელ მასალათა ტრესტმა	88
ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკამ	88
ლიტოპონის ქარხანამ	81
ლოკომოტივშემკეთებელმა ქარხანამ	77
ახალციხის შახტსამმართველომ	69
საქართველოს თევზის ტრესტმა	23

რესპუბლიკური მრეწველობა

1. საერთო პროდუქციის გეგმა შეასრულეს, მაგრამ ზოგიერთი სახეობის პროდუქციის ან ასორტიმენტის გეგმა ვერ შეასრულეს:

სამტრესტმა;

სამტრედიის აბრეშუმის ძაფსახვევმა ფაბრიკამ, ბამბის ფაბრიკამ, № 1 ტყავის ქარხანამ, №1, № 2 და № 3 ფეხსაცმლის ფაბრიკებმა, სუხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატმა, № 5 სამკერვალო ფაბრიკამ;

მცხეთის ასანთის ფაბრიკამ, ბათუმის ფანერის ქარხანამ, თბილისის ავეჯის ფაბრიკამ;

ციხისის კირ-ცარცის ქარხანამ, შროშის ცეცხლგამძლე ნაკეთობათა ქარხანამ;

კალინინის სახელობის მექანიკურმა ქარხანამ, მომთუთიებელმა ქარხანამ, მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატმა.

2. საერთო პროდუქციისა და ნატურით პროდუქციის გამოშვების გეგმა ვერ შეასრულეს:

	1952 წლის I კვარტალის საერთო პროდუქციის გეგმის შესრულების პროცენტი:
საქართველოს ჩაის ტრესტმა	99,5
ახმეტის სატყეო-სამრეწველო მეურნეობამ	98
საქართველოს ტუნგოს ტრესტმა	98
თბილისის ძაფსართავმა ფაბრიკამ	98
ქუთაისის აბრეშუმის კომბინატმა	96
№ 2 სამკერვალო ფაბრიკამ	96
თბილისის აბრეშუმსაქსოვმა ფაბრიკამ	93
№ 1 სამკერვალო ფაბრიკამ	92
№ 6 სამკერვალო ფაბრიკამ	92
№ 7 სამკერვალო ფაბრიკამ	92
სამტრედიის აგურის ქარხანამ	90
№ 2 ტყავის ქარხანამ	89
№ 3 ტყავის ქარხანამ	87
თბილისის ფანერის ქარხანამ	86
ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკამ	85
საქართველოს ყველ-კარაქმრეწვის ტრესტმა	82
მოწამეთის კირის ქარხანამ	77
ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხანამ	70
26 კომისრის სახელობის ქარხანამ	68
საბურთალოს აგურის ქარხანამ	66
გურჯაანის აგურის ქარხანამ	66
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ლითონის კონსტრუქციების ქარხანამ	64

სოფლის მეურნეობა

რესპუბლიკის მინდვრებში გაჩაღებულია საგაზაფხულო მუშაობა. 20 აპრილისათვის შაქრის ჭარხლის თესვის გეგმა შესრულებულია 99,6 პროცენტით, გადაჭარბებით შესრულდა მზესუმზირას თესვის გეგმა, მაგრამ საგაზაფხულო ხვნისა და სხვა საგაზაფხულო კულტურების თესვის ტემპი წელს გაცილებით უფრო ნელია გასული წლის გაზაფხულთან შედარებით.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა ტრაქტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტის გეგმა შეასრულეს დაწესებული ვადისათვის — 1952 წლის 10 მარტისათვის.

წარმატებით მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები ჩაის გასაშენებლად. 1952 წლის 15 აპრილისათვის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ჩაის პლანტაციის გასაშენებლად მოამზადეს 45 პროცენტით მეტი ნიადაგი, გააშენეს 68 პროცენტით მეტი პლანტაცია, ვიდრე გასული წლის იმავე თარიღისათვის. გაშენების გეგმა 15 აპრილისათვის შესრულებულია 93 პროცენტით. პლანტაციების გაშენება გრძელდება. პლანტაციების ნიადაგის დაბარვის გეგმა შესრულდა ვადამდე —15 მარტისათვის. ჩამორჩენილია ორგანული და აზოტიანი მინერალური სასუქების შეტანა.

ციტრუსოვანი კულტურების ხაზით 1952 წლის 15 აპრილისათვის მომზადებულია პლანტაციების გასაშენებლად 50 პროცენტით მეტი ნიადაგი, ვიდრე შარშან იმავე თარიღისათვის. გაშენებულია ნაკლები პლანტაცია, ვიდრე 1951 წელს იმავე თარიღისათვის. დაბარული პლანტაციების ფართობი 115 პროცენტით აღემატება შარშან დაბარულ ფართობს, მაგრამ ბარვის გეგმა მთლიანად შესრულებული არ არის. არ შესრულებულა ორგანული სასუქების შეტანის გეგმა.

15 აპრილისათვის გაშენებულია ბევრად მეტი ახალი ხეხილის ბაღი და ვენახი, ვიდრე შარშან იმავე თარიღისათვის. ბაღებისა და ვენახების ნიადაგის ბარვისა და ორგანული სასუქების შეტანის გეგმების შესრულება მნიშვნელოვნად ჩამორჩენილია.

საქონელბრუნვა

საცალო საქონელბრუნვის 1952 წლის I კვარტალის გეგმა მთლიანად შესრულებულია 96 პროცენტით, აქედან საცალო ვაჭრობის ქსელის საქონელბრუნვის გეგმა შესრულებულია 95 პროცენტით, საზოგადოებრივი კვების ქსელის ბრუნვის გეგმა — 99,5 პროცენტით.

საცალო საქონელბრუნვის გეგმა სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს ორგანიზაციებმა შეასრულეს 102 პროცენტით, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ორგანიზაციებმა — 98 პროცენტით, ცეკავშირის ორგანიზაციებმა — 88 პროცენტით.

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო

გამოვიდა გაზეთ „გამარჯვების“ პირველი ნომერი

გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო და საქალაქო კომიტეტებისა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს ორგანოს გაზეთ „გამარჯვების“ პირველი ნომერი.

გაზეთში გამოქვეყნებულია: მოწინავე სტატია „ჩვენი გაზეთი“, ცნობა თბილისის პირველი საოლქო პარტიული კონფერენციის გახსნის შესახებ, ინფორმაციები საერთო სათაურით „ჩვენი ოლქის ქალაქებსა და სოფლებში“. საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. კ. ბუჯიაშვილის სტატიაში ლაპარაკია თბილისის ოლქის ბოლშევიკების ამოცანებზე.

გაზეთში დაბეჭდილია ოლქის ფაბრიკებისა და ქარხნების, სოფლის მეურნეობისა და კულტურის მოწინავე ადამიანების წერილები და სხვა მასალები.

გაზეთი „გამარჯვება“ გამოდის ოთხ გვერდზე ყოველდღიურად. (საქდესი).

შვანგისგ არქაღი ვორობიოვის მსოფლიო რეკორდი

სვერდლოვსკი 26 აპრილი. (საქდესი). ოფიცერთა საოლქო სახლში დაწყო ურალის სამხედრო ოლქის უძლიერესი სპორტსმენების შეჯიბრება შტანგაში, ჭიდაობასა და კრივში.

შეჯიბრების პირველ დღეს საუცხოო წარმატება მოიპოვა სპორტის ოსტატმა არკადი ვორობიოვმა, რომელიც ნახევრადძმიმე წონაში გამოვიდა. მისი შედეგი შტანგის ორივე ხელით ატაცაში, რომელიც 134 კილოგრამს უდრის, 0,5 კილოგრამით აღემატება ამერიკელ შიმანსკის მსოფლიო რეკორდს. შტანგის ორი ხელით აკრაში ა. ვორობიოვმა საკავშირო რეკორდს გადაჭარბა. მისი შედეგი — 166 კილოგრამი — 0,5 კილოგრამით მეტია მისსავე საკავშირო რეკორდზე.

კახოვკა მაისის წინ

ნოვაია კახოვკა, 26 აპრილი. (საქდესი). არაჩვეულებრივია წლევანდელი გაზაფხული დნეპრის ნაპირებზე. კახოვკის ჰიდროკვანძის მშენებლებმა შეცვალეს ამ ადგილების პეიზაჟები და გაზაფხულის ფერები.

დღეს ისინი სრულიადაც ისეთი აღარ არიან, როგორიც შარშან გაზაფხულზე იყვნენ. იქ, სადაც ველი იყო გადაჭიმული, ახლა გაშენებულია ქალაქი მრავალსართულიანი სახლებით.

ახლებურად გამოიყურებიან დნეპრის ნაპირებიც. შარშან აქ მოჩანდა გეოლოგიური პარტიების განმარტოებული ჭაბურღილების კოშკურები. ახლა დაიწყო მდინარეზე შეტევა. მის ნოლაში ერთი წუთითაც არ ცხრება მძლავრი მიწისმწოვი მანქანის „ონეგას“ გუგუნი, რომელიც მომავალი ჰიდროკვანძის საგდულისაკენ მიიწევს. იგი ყოველ საათში იღებს ათას კუბურ მეტრზე მეტ გრუნტს და ამზადებს ქვაბულს ჰიდროელექტროსადგურის შენობისათვის. „ონეგის“ მახლობლად დაბანაკდა მცურავი ელექტრომიწისმწოვი მანქანა „300-40“, რომელიც ზაპოროჟიედან მოვიდა მშენებლობაზე. ბულდოზერები მუშაობენ ზედა და ქვედა ზღუდრების ნასილის უბნებისა და კაშხალის ჯებირის გამაგრებაზე. გვერდით გადაჭიმულია რკინიგზის ვაკისის ყრილი, რომელზეც ზედ წყალთან მატარებლები დაქრიან.

მუშაობის ძლიერი ტემპი ახასიათებს ახლა ყველა ასამუშავებელი ობიექტის მშენებლებს. პირველი სამშენებლო სამმართველოს კოლექტივი ისწრაფვის დაამთავროს ამ დღესასწაულისათვის რამდენიმე საცხოვრებელი შენობის აგება. მთავრდება საზაფხულო თეატრის მშენებლობა. ამ თეატრში ნოვაია კახოვკას მცხოვრებნი თავის საპირველმაისო საღამოს გაატარებენ. აქ ყოველი მუშაკი ორი კაცის სამუშაოს ასრულებს. მშენებლობაზე ყოველდღიურად ორ დავალებაზე მეტს ასრულებენ ვ. გლაგოლევისა და პ. დეხტერის მომპირკეთებელთა ბრიგადები. ნ. აბრამოვისა და გ. ბელიაევის ბრიგადების შრომის შედეგია სამი ნორმა ცვლაში.

აღფრთოვანებით შრომობს დამხმარე საწარმოთა და გზათა მშენებლობის კოლექტივი. მშენებლობა პირველი მაისისათვის თავის ხე-ტყის საამქროს მიიღებს. ძველი, ქვიშნარში გაყვანილი გზის ნაცვლად კახოვკიდან დნეპრის ახალ ქალაქში გაივლის გზატკეცილი.

დაჩქარებული ტემპით მუშაობენ მემონტაჟენი. პირველი მაისისათვის ნოვაია კახოვკა უნდა გააშუქოს ლენინის სახელობის დნეპრჰესის სინათლემ. სტალინური ხუთწლედის პირმშოს ენერგია მოემსახურება ახალ დიად მშენებლობას დნეპრზე.

კახოვკის ჰესის მშენებლები დიად დღესასწაულს ლამაზ და კეთილმოწყობილ ქალაქში შეხვდებიან. ქუჩებში, მომავალ მოედნებსა და სკვერებში დარგულია ასობით ხე.

ნოვაია კახოვკა სადღესასწაულოდ ირთვება.

საერთაშორისო ეკონომიური თათბირის მონაწილენი თბილისში

საქართველოს დედაქალაქი ინახულეს ბელგიის პარლამენტის დეპუტატმა იზაბელა ბლუმმა და ბელგიელმა მრეწველმა ემილ კავენელმა, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ საერთაშორისო ეკონომიური თათბირის მუშაობაში.

სტუმრებმა გაიცნეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, ინახულეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ავლაბრის ყოფილი არალეგალური ბოლშევიკური სტამბა, ისტორია-ეთნოგრაფიის მუზეუმი, ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, მეხუთე საქალაქო საავადმყოფო. ისინი იყვნენ აგრეთვე თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში, სადაც დაათვალიერეს საწარმოს საამქროები, კულტურულ-საგანმანათლებლო და საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი.

სტუმრები გაემგზავრნენ ქალაქ გორს — ამხანაგ ი. ბ. სტალინის სამშობლოში და საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში. უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში მათ აჩვენეს დოკუმენტალური ფერადი ფილმი „საბჭოთა საქართველო“.

27 აპრილს იზაბელა ბლუმი და ემილ კავენელი თბილისიდან გაემგზავრნენ. (საქდესი).

თბილისში ჩამოვიდნენ უცხოეთის დელეგაციები

თბილისში ჩამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის დელეგაციები, რომლებიც სსრ კავშირში მოიწვია საბჭოთა ქალების ანტიფაშისტურმა კომიტეტმა.

აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

თბილისში ყოფნის პირველ დღეს უცხოელი სტუმრები გაეცნენ საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს, ნახეს დოკუმენტალური ფერადი ფილმი „საბჭოთა საქართველო“. (საქდესი).

აგრონომიული რჩევა-დარიგება

როგორ დავიცვათ გაზაფხულისთოვა ნათესები ჩაწოლისაგან

საკუთარი წარმოების პურით საქართველოს უზრუნველყოფის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ნათესების მოვლას, ჯეჯილის ნორმალური განვითარების უზრუნველყოფას.

ნათესების მოვლაზე ბევრად არის დამოკიდებული კერძოდ ისეთი ფრიად გავრცელებული მოვლენა, როგორიც არის ყანის ჩაწოლა. პურეულის ჩაწოლა დიდ ზარალს აყენებს კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს, ამცირებს მოსავლიანობას, აუარესებს მოსავლის ხარისხს, აძნელებს აღებას.

პურეულის ჩაწოლა უმთავრესად ხდება ტენიან ადგილებში, წვიმიან ზაფხულში, ხშირი ქარების შემთხვევაში. ჩაწოლას ხელს უწყობს აგრეთვე ზოგიერთი ჯიშის დამახასიათებელი თვისებები, ყანის ზედმეტი სიხშირე, ნაკელით და აზოტოვანი მინერალური სასუქებით ჭარბად გაპატივება.

კარგად მოვლილი, ნორმალურად განვითარებული და მაგარი მუხლთაშორისებიანი პურეული იშვიათად ჩაწვება. ამ საქმეში მინერალურ სასუქებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. უნდა გვახსოვდეს, რომ დადგენილი ნორმების მიხედვით მინერალური სასუქებით განოყიერებისას ხშირად ერთიორად და ერთისამად დიდდება მოსავალი.

სოფლის მეურნეობაში განსაკუთრებით დიდია აზოტოვანი სასუქების როლი. ისინი ხელს უწყობენ, მაგალითად, პურეულის სავეგეტაციო ორგანოთა განვითარებას, ბარტყობის გაძლიერებას, ფოთლების და სხვათა ძლიერ ზრდას. ეს მტკიცედ უნდა გვახსოვდეს. მაგრამ ასევე სავალდებულოა ნიადაგის განოყიერების წესებისა და სასუქის დოზების ცოდნა და დაცვა. ფაქტია, რომ ნიადაგში აზოტის ჭარბად შეტანას ხშირად ზარალი მოსდევს, ნიადაგში აზოტის სიჭარბის შემთხვევაში ხანგრძლივდება მცენარის განვითარების პერიოდი, ადვილდება დაავადება, გვიანდება პურის შემოსვლა; ნიადაგში აზოტოვანი სასუქის ზედმეტად შეტანის შემთხვევაში, თუ ამასთან ფოსფორი და სხვა სასუქები ცოტაა, ირღვევა მათ შორის შეფარდება, პურეულის ღერო ანუ სამაგრი ნაწილი გამოდის ზედმეტად გრძელი და სუსტი მუხლთაშორისებიანი, ნაკლებად გამძლე. აზოტის ჭარბად შეტანისას მეტი რაოდენობით ვიღებთ ჩალას, მარცვალს კი, პირიქით, ნაკლები რაოდენობით. ჭარბი აზოტის გავლენა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ხშირი მორწყვის, წვიმისა და ტენის პირობებში, როცა ამავე დროს განსაკუთრებით იჩრდილება მცენარის ძირა ნაწილები.

ფოსფორი ამ მხრივ საწინააღმდეგო თვისებებს ავლენს. იგი ადიდებს მოსავალში მარცვლის შეფარდებას ჩალასთან, აბათილებს აზოტის სიჭარბით გამოწვეულ უარყოფით გავლენას, ხელს უწყობს ღეროს სიმტკიცეს და სიმკვრივეს, ამასთან ამოკლებს სავეგეტაციო პერიოდს. ასეთი ყანა ნაკლებად წვება.

პურეულის ჩაწოლას ამცირებს აგრეთვე ნიადაგში კალიუმის შეტანა. ასეთივე დადებითი გავლენა გვიჩვენა მანგანუმმა.

რა დასკვნა უნდა გავაკეთოთ აქედან? უპირველეს ყოვლისა ის, რომ საჭიროა მტკიცედ და ზუსტად დავიცვათ თესვის ნორმები, არ დავუშვათ ყანის გადაჭარბებული სიხშირე. თუ ეს ნაკლი დროზე ვერ დავძლიეთ, იმ შემთხვევაში აუცილებელია არანორმალურად ხშირი ჯეჯილი გავამეჩხეროთ და ამით ხელი შევუწყოთ მცენარის ყველა ნაწილის უკეთ განათებას და ნორმალურად განვითარებას.

პურეულის ჩაწოლის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე საიმედო საშუალება კვებისა და მოვლის მოწესრიგებაა. ეს გვიკარნახებს მეტი ვიმუშაოთ იმისათვის, რომ საკოლმეურნეო მინდვრებზე უფრო ფართოდ დაინერგოს მიწათმოქმედების მაღალი კულტურა, მათ შორის ნათესების რაციონალური კვება. ამ მიზნით უნდა შევისწავლოთ ნიადაგის ქიმიური შემადგენლობა, სათანადო შესწავლის შემდეგ მოვაწყოთ მისი განოყიერება. მხოლოდ ასეთი შესწავლის საფუძველზე შეიძლება უზრუნველყოთ ნიადაგში საკვებ ნივთიერებათა ერთმანეთს შორის სწორი შეფარდების დაცვა. ამ მიზნით ზოგიერთ ნაკვეთზე შეიძლება ნაკლები რაოდენობით შევიტანოთ აზოტოვანი სასუქი. ასევე მოვიქცეთ სხვა სასუქების მიმართ — ფოსფორი ზოგიერთ შემთხვევაში ერთიორად მეტი შევიტანოთ. შეიძლება მეტი რაოდენობით შევიტანოთ კალიუმიც.

სასუქების შეტანა ძირითადად შემოდგომაზე, თესვის წინ ხდება, მაგრამ ისიც მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ პურეულის მოვლაში მეტად დიდ როლს ასრულებს ნათესების დამატებითი გამოკვება, დაფარცხვა და სარეველა მცენარეებისაგან დაცვა. ეს ღონისძიებანი მთელ ნათეს ფართობზე უნდა განვახორციელოთ. ამასთან ყოველთვის უნდა ვცდილობდეთ მივაღწიოთ ყანის არა მარტო ნორმალურ განვითარებას, არამედ, რაც მთავარია, პურეულის ჩაწოლის აღკვეთას და უხვი მოსავლის მიღებას. საჭიროა ძლიერ განვითარებულ და გადაზრდილ ნათესებში გაორკეცებული რაოდენობის სუპერფოსფატი და კალიუმიანი სასუქი გამოვიყენოთ. კარგად მოწყობილი დამატებითი გამოკვება ხშირად თვითეულ ჰექტარზე 4-6 ცენტნერით, ზოგან კი 10 ცენტნერით და მეტით ადიდებს მოსავლიანობას.

ფარცხვა დაახლოებით 4-5 სანტიმეტრის სიღრმეზე აფხვიერებს ნიადაგს და ხელს უწყობს მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენებას, მცენარის ფესვებთან ჰაერის მიღწევას, ამასთან ნიადაგში ტენის შენარჩუნებას, მის ნორმალურად გამოყენებას, ამოშრობის პროცესის შემცირებას და ნათესის გაწმენდას როგორც სარეველების, ისე მცენარეთა ნარჩენებისაგან. დროზე და წესიერად დაფარცხვა (მწკრივების გარდიგარდმო ან ალმაცერად) უკეთ და ნორმალურად ავითარებს ჯეჯილს, ე. ი. ხელს უშლის ჩაწოლასაც, თვითეულ ჰექტარზე სულ მცირე 1-2 ცენტნერით ადიდებს მოსავლიანობას.

განსაკუთრებით საჭიროა ნიადაგის დაფარცხვა დამატებითი საკვების შეტანისას. იგი მიწის გაფხვიერებასთან ერთად ხელს უწყობს საკვებ ნივთიერებათა სწორად განაწილებას და მცენარის მიერ შეთვისება-გამოყენებას. ამიტომ არის, რომ ჯეჯილის დაფარცხვა სავალდებულო ღონისძიებად არის დაწესებული.

დიდია აგრეთვე სარეველა მცენარეებთან ბრძოლის მნიშვნელობა. მოწინავე კოლმეურნეები ჯეჯილს საჭირო შემთხვევაში შემოდგომაზეც მარგლავენ. შემოდგომით გამარგვლა აფერხებს სარეველა მცენარეთა გაზრდას, ამასთან აძლიერებს ჯეჯილის განვითარებას და ამით ხელს უწყობს მის გამძლეობას ყინვისა და გვალვისადმი, ამცირებს ჩაწოლას და ადიდებს მოსავლიანობას. ამიტომ მოწინავენი ნათესებს ზოგჯერ შემოდგომაზეც მარგლავენ, შემდეგ ადრე გაზაფხულზე იმეორებენ და აღერების დაწყებამდე ნათესებში მთლიანად და საბოლოოდ სპობენ სარეველებს.

ყვარლის რაიონის სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში დარაიონებული ხორბლის ჯიში „ლაგოდეხური გრძელთავთაგა“ უთესიათ, რომელსაც საკმაოდ მტკიცე ღერო აქვს და ნაკლებად წვება. მიუხედავად ამისა, ამხ. დურმიშხან იორდანიშვილის ბრიგადაში, გაითვალისწინეს რა ნიადაგის შემადგენლობა, თესვის წინ თვითეულ ჰექტარზე 200 კილოგრამი სუპერფოსფატი და 100 კილოგრამი კალიუმის მარილი შეიტანეს. ასევე ნიადაგის შემადგენლობის მტკიცედ გათვალისწინებით მოაწყეს გაზაფხულზე დამატებითი გამოკვება, დაფარცხვა და გამარგვლა. შედეგიც კარგი მიიღეს — შარშან 112 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანეს საშუალოდ 20,4 ცენტნერი ხორბალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 14 ცენტნერისა, 23,5 ჰექტარზე კი საშუალოდ 29 ცენტნერი.

თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ასურეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ამხ. აბელ დოხნაძის ბრიგადას მოხვნის წინ თვითეულ ჰექტარზე 8 ტონაზე მეტი გადამწვარი ნაკელი არ შეუტანია, მინერალური სასუქებიდან კი გამოიყენა 2,5 ცენტნერი სუპერფოსფატი, 0,7 ცენტნერი კალიუმის მარილი და 1,2 ცენტნერი სულფატამონიუმი. გაზაფხულზეც კარგად მოაწყო ყველა სამუშაო. საბოლოოდ აქ 16 ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 27,1 ცენტნერი ხორბალი.

მუშაობის კარგი მაგალითი გვიჩვენეს გორის რაიონის სოფელ სკრის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ ყანის ჩაწოლა იშვიათია, მოსავალსაც კარგს იღებენ. მაგალითად, ამხ. სიმონ სეფიაშვილის ბრიგადაში მოსავლიანობა ჰექტარზე აყვანილია 25 ცენტნერამდე. შემოდგომაზე ხორბალი აღრევე კარგად განოყიერებულ ნაჭარხლარზე დათესეს. ამიტომ სასუქები არ შეუტანიათ, ხოლო გაზაფხულზე, როგორც კი შესაძლებელი გახდა მინდვრად გასვლა, თვითეული ჰექტარი 2 ცენტნერი სუპერფოსფატით, 1,5 კილოგრამი კალიუმის მარილით და ამდენივე აზოტოვანი სასუქით გააპატივეს. სასუქების შეტანისთანავე ნათესები გრძლად მიბმული და არა ბიძგებით, არამედ თანაბრად მომუშავე რკინის ფარცხით გარდიგარდმო დაფარცხეს, მიწა გაფხვიერეს. ყანა მაისში ორჯერ გამარგლეს, ორჯერ წუნწუხით მორწყეს. ჯეჯილი საუკეთესოდ განვითარდა და მოსავლიც კარგი მოგვცა.

ახლა ამოცანა ის არის, რომ მოწინავეთა გამოცდილება ყველას კუთვნილება გავხადოთ. არ უნდა დავუშვათ უდარდელობა და უპასუხისმგებლობა ნათესების მოვლაში. მთლიანად და რაც შეიძლება უკეთ განვახორციელოთ აგროწესები. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ კარგ მოსავალს მხოლოდ მოვლილი ყანა იძლევა. დავიცვათ ნათესების არა მარტო ნორმალური სიხშირე, არამედ უზრუნველვყოთ მისი ყოველთვის ზომაზე და წესიერად განოყიერება, არ დავუშვათ ყანის ჩაწოლა და მოსავლის დანაკარგები. ყველა ნაკვეთზე მოვიყვანოთ უხვი მოსავალი.

ტ. თოდრაძე

ალხთა სტალინური მეგობრობის

დროშით

...ნინ მიღიან ჭიათურელი მაღაროელები

ჭიათურა. (საკ. კორ.). ორი ათეულ-ი წელია ერთმანეთს ეჯიბრებიან ჭიათურელი და ნიკოპოლელი მაღაროელები. ამ დღეებში უკრაინიდან ჭიათურაში ...ერილი მიიღეს. მასში ლაპარაკია მოძ-ა უკრაინელი მაღაროელების მუშაობა-ე მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ ...ართალში. როგორც მონაცემებიდან ...ნს, დავალებებს კარგად ასრულებენ ...კოპოლის მარგანეცის ტრესტის ვო-...შილოვის და მაქსიმოვის სახელობის ...ღაროები, ჩამორჩება ორჯონიკიძის ...ახელობის მაღაარო. მთლიანად ნიკო-...ლის მარგანეცის ტრესტმა სასაქონ-...ო პროდუქციის დამზადების პირველი ...ართალის გეგმა შეასრულა, მაგრამ ...რ გაანაღდა მადნის გამოღებისა და ...როდუქციის ხარისხის დავალებები. ...უკეთესი მაჩვენებლები აქვს ჭიათურის ...რგანეცის ტრესტს. აქ მარგანეცის ...საქონლო პროდუქციის დამზადების ...რველი კვარტალის გეგმა შესრულე-...ულია 105, ხოლო ხარისხისა — 100,6 ...ოცენტით.

ახლა ჭიათურელი და ნიკოპოლელი ...ღაროელები იბრძვიან, რათა ახალი ...წარმოო გამარჯვებებით აღნიშნონ ...რომელთა საერთაშორისო დღესას-...ული — პირველი მაისი.

შეჯიბრებაში დანინაურებული ფაბრიკა

ლანჩხუთი. (სპეც. კორ.). ლანჩხუ-...ს ჩაის ფაბრიკამ შარშან სახელმწი-...ოს 2.248,7 ათასი მანეთის მოგება მის-..., ამასთან საგრძნობლად შეამცირა ...ის პროდუქციის თვითღირებულება.

...წელს ფაბრიკის კოლექტივი ამ მიღ-...ევით როდი კმაყოფილდება. აქ საპირ-...ელმაისო სოციალისტური შეჯიბრებით ...კისრი ჰქონდათ 20 აპრილამდე ყო-...ლმხრივ მომზადებული ყოფილიყვ-...ნ ჩაის ფოთლის კრეფა-გადამუშავე-...ს სეზონისათვის. შრომის სწორად ...წყობის შედეგად ნაკისრი ვალდებულ-...ებანი 10 დღით ადრე გაანაღდეს, შე-...ეთეს ჩაის ფოთლის მიმღები პუნქ-...ები. საკმაო რაოდენობით აქვთ სა-...რანსპორტო ყუთები და სასწორები. ...აბრიკაში მოეწყო აგრეთვე მტვრის ...ემწოვი მოწყობილობა. შეკეთებულია ...ამღები პუნქტებთან მისასვლელი გზე-...ი. გათვალისწინებული აქვთ მოკრეფი-...ი ფოთოლი ფაბრიკაში გადაზიდონ ...ღეში სამჯერ. მომზადებულია ტექ-...ოლოგები, ბრიგადირები, ლაბორატო-...იის მომუშავეები და პუნქტების გამ-...ეები — სულ 50 კაცი.

ფაბრიკაში მოწყობილია აგურის წარ-...ოების საამქრო. შარშან აქ ნახევარი ...ელიონი ცალი აგური გამოუშვეს. სა-...უთარი აგურით ააშენეს ორსართული-...ნ საცხოვრებელი სახლი და აბანო. ...ელს 600 ათასი ცალი აგურის გამოშ-...ებისათვის იბრძვიან. უკვე დაიწყეს ...გურის დაყალიბება.

საგაზაფხულო ხვნა-თესვა

სამეურნეო საქმიანობა ქალალდების მორევში

თელავის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებაში ფოსტას ყოველდღიურად საკმაო დიდი შეკვრა ქალალდები მოაქვს. ეს არის ზემდგომი სამეურნეო ორგანოების სახელმძღვანელო ინსტრუქციები, მიმართვები, დებეშები. ამ უკანასკნელ ხანს უფრო გამრავლდა მიწერ-მოწერა. საკმარისია აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის 1 მარტიდან 20 აპრილამდე თბილისის საოლქო საბჭოს აღმასკომის სამმართველოებიდან და განყოფილებებიდან რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებაში შემოსულია 250-მდე მიმართვა, განცხადება, დებეშა, ბრძანება. ამავე ხნის განმავლობაში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და ტექნიკური კულტურების სამინისტროებიდან მიღებულია 70-მდე მიმართვა, დებეშა, ბრძანება.

ამიტომ არის, რომ სოფლის მეურნეობის განყოფილებაში ყველა თანამშრომელი გადატვირთულია ქალალდების კითხვით, მიწერ-მოწერით. თუ ამას მიეუმატებთ ადგილობრივ ორგანოებთან მიმოწერას, აგრეთვე განცხადებებს, დაინახავთ, თუ როგორ არიან ისინი ჩაფლულნი ქალალდის მორევში. სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ამხ. ა. გოგიძე შემოსულ ქალალდებს განუწყვეტლივ აწერს რეზოლუციებს. მაგრამ ეს ხომ საქმის დასაწყისია და არ ნიშნავს მის შესრულებას. რაიონში სოფლის მეურნეობის შედეგები არასახარბიელოა. შარშან ვერ შეასრულეს ხორბლის, სიმინდის, მზესუმზრის, კარტოფილის მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმები.

რა აზრი აქვს დადგენილებას, მიწერ-მოწერას, თუ მას სათანადო შედეგი არ მოჰყვება? შემოწმებით გამოირკვა, რომ ბევრი მიმართვა მოვალეობის მოსახდელად დაწერილა. მაგალითად, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მიმდინარე წლის 9 აპრილს რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებაში მიიღეს ასეთი მიმართვა: „თქვენ უნდა მოგემზადებინათ ერთთვიან კურსებზე საკოლმეურნეო მრწყველები და სამთვიან კურსებზე მრწყველი ბრიგადირები... გავალებთ წარმოადგინოთ ცნობები კურსების მოწყობის შესახებ არა უგვიანეს ა. წ. 20 აპრილისა“.

15 აპრილს სამინისტროს გაუგზავნეს შემდეგი პასუხი: „სამთვიანი კურსების მუშაობა ჯერ არ არის დაწყებული... ბრძანება და პროგრამები მიღებული გვაქვს, მაგრამ საჭირო თანხები და მითითებანი არ მიგვიღია. ამაზე ჩვენ მივწერეთ მინისტრის მოადგილეს ამხ. კახიანს, რათა მოეცა საჭირო თანხები ან სათანადო მითითებანი, თუ როგორ მოვაწყოთ კურსები. ჯერ პასუხი არ არის“. ასეთი მიწერ-მოწერით ამ საქმეს ბოლო არ უჩანს.

თბილისის საოლქო საბჭოს აღმასკომმა 28 მარტს რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებას მისწერა, რომ გამოყოფილი სათესლე სოია დაუყოვნებლივ გაეტანათ „ზაგოტზერნოდან“. მაგრამ „ზაგოტზერნოს“ თელავის განყოფილებას 25 აპრილსაც არ ჰქონდა მიღებული სოიის თესლი.

არ შეიძლება ითქვას, რომ პარტიის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი არ მსჯელობდნენ მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებებზე, სოფლის მეურნეობის სხვა საკითხებზე, მაგრამ უფრო ხშირად დადგენილებით ხმაური გამოუდით. რაისაბჭოს აღმასკომის (თავმჯდომარე ი. ყარაულაშვილი) სხდომები გადატვირთულია. ამა წლის 11 მარტს განიხილეს 30-ზე მეტი საკითხი, 4 მარტის სხდომაზე 14 კოლმეურნეობის საწარმოო გეგმები და ხარჯთაღრიცხვები დამტკიცეს, და, გარდა ამისა, 12 სხვა საკითხი განიხილეს. 18 მარტის სხდომაზე განხილულია 37 საკითხი. ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა არც პარტიის რაიკომშია. მიმდინარე წლის 21 თებერვლის ბიუროს სხდომაზე განხილულია 40 საკითხი, 6 მარტს — 41, 10 აპრილს — 51.

რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის ყველა დადგენილება როდი სრულდება. 10 აპრილს რაიკომის ბიურომ განიხილა საგაზაფხულო ხვნა-თესვის მიმდინარეობის საკითხი და აღნიშნა დიდი ჩამორჩენა საგაზაფხულო სამუშაოებში. ხვნის დავალება შესრულებული იყო 37,9 პროცენტით. ვარდისუბნის, შალაურის, კონდოლისა და აკურის კოლმეურნეობებში სიმინდის თესვა დაწყებული არ ჰქონდათ. ამ დადგენილების შემდეგ საკმაო დრო გავიდა, მაგრამ არსებითი გაარდატეხა არ მომხდარა. თელაველებმა აპრილის პირველი ნახევრის ხელსაყრელი ამინდები ხელიდან გაუშვეს. ჩამორჩენა კვლავ გრძელდება. 25 აპრილისათვის დათესილი იყო 1.466 ჰექტარი სიმინდი, ნაცვლად 2.400 ჰექტარისა. ჩამორჩა მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების თესვა. გამოკვებილია 6.900 ჰექტარი ჯეჯილი, ნაცვლად 9.800 ჰექტარისა.

როგორც ჩანს, რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოები გატაცებული არიან „საერთო ხელმძღვანელობით“, რის შედეგადაც რაიონში მთელი რიგი კოლმეურნეობები წლების მანძილზე ჩამორჩებიან. ვარდისუბნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში 1950 წელთან შედარებით შარშან იკლო მოსავლიანობამ, შრომადღის ხვედრმა. კოლმეურნეობაში საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 6,4 ცენტნერი ხორბალი, 8,5 ცენტნერი სიმინდი. არ შეუსრულებიათ მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმა. იყო საკოლმეურნეო ქონების მითვისებისა და განიავების ფაქტები. კოლმეურნეობაში გაფლანგული და დატაცებულია 69.000 მანეთი. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ბაღანაშვილი შარშან მოხსნეს. მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა, მაგრამ დამნაშავენი დღემდე არ არიან დასჯილნი.

ასევე ჩამორჩენილია წინანდლის სტახანოვის სახელობის კოლმეურნეობა. მუშაობა აქაც ჩაშლილი იყო. გასულ წელს კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. ბატიაშვილი დანაშაულებრივი მოქმედებისათვის მოხსნეს, მაგრამ დამნაშავის დასჯა დღემდე ჭიანურდება.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის ფაქტებს რაიონის სხვა კოლმეურნეობებშიც ვხვდებით. საჭიროა უკუვაგდოთ თვითდამშვიდებისა და შინაურულობის განწყობილება, პარტიულ და სამეურნეო საქმიანობაში შევიტანოთ მეტი სიცოცხლე, ბოლშევიკურად ვამხილოთ ნაკლოვანებანი, სწრაფად გამოვასწოროთ ჩამორჩენა საგაზაფხულო სამუშაოებში.

თბილისის საოლქო საბჭოს აღმასკომმა და მისმა განყოფილებებმა სოფლის მეურნეობისა და ტექნიკური კულტურების სამინისტროებმა უფრო ცოტა ქალალდები უნდა გზავნონ თელავში და პრაქტიკულად დაეხმარონ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმატებით ჩატარებაში.

ნ. ჯანჯღავა

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

ჩვენ გვწერენ

მოვიყვანთ აბრეშუმის პარკის უხვ მოსავალს

ყოველწლიურად დიდი გადაჭარბებით ვასრულებ აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმას. გასულ წელს ერთ კოლოფ თესლზე ჩავაბარე 103 კილოგრამი ხარისხოვანი პარკი. ვმუშაობ მეაბრეშუმე ნოვატორის ოსანა აივაზაშვილის მეთოდით. საჭიე ბინა კარგად მოვამზადე. ნამყენი თუთის ხეები სასუქით გავანოყიერე, რომ აბრეშუმის გამოკვებისას ფოთოლი უფრო ყუათიანი იყოს. ასევე გულდასმით მოვამზადე ყველა ის საგანი, რომლებიც შესაძლებლობას მომცემს ყოველ ორ-სამ დღეში გამოვუცვალო ჭიას ნაძირალი.

ჩავები სოციალისტურ შეჯიბრებაში პარკის მოსავლიანობის გადიდებისათვის და ვიკისრე ჩქაროსნული მეთოდით გამოვკვებო აბრეშუმის ჭია. ამ საქმეში დამეხმარება ნამყენი თუთები, რომელთა ფოთლის მოცულობა 5-6-ჯერ უფრო დიდია, ვიდრე ჩვეულებრივი თუთისა.

მრავალი წლის დაკვირვებამ ცხადყო, რომ ნამყენი თუთის ფოთლით გამოკვებილი ჭია გაცილებით უფრო კარგი ხარისხის პარკს იძლევა, საგრძნობლად ამცირებს მეაბრეშუმეთა შრომას. ამიტომ საჭიროა რაიონის აგრონომებმა კოლმეურნეობებში თუთის ხეების დამყნობას მეტი ყურადღება მიაქციონ.

ჩვენი რგოლი საუკეთესოდ მოუვლის ჭიას ყველა ასაკში, შეუქმნის მას ნორმალურ ტემპერატურას, სინესტეს, აერაციას და სადღეღამისო გამოკვებით თვითეულ კოლოფზე მოიყვანს ას კილოგრამზე მეტ აბრეშუმის პარკს.

სონია გვაზავა

აბაშის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმე

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„რაჭომ არ შეუწყეს ხელი გამომგონებელს?“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 13 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელშიც მხილებული იყო გამომგონებლისადმი ბიუროკრატიული დამოკიდებულების ფაქტები.

საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების მინისტრი ამხ. გ. ალავიძე გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები ძირითადად დადასტურდა.

სამინისტროს კოლეგიამ აღნიშნა საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტისა და სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებთან ბრძოლის განყოფილების ზერელე დამოკიდებულება ამხ. სახელაშვილის მიერ წამოყენებული წინადადებისადმი, გააფრთხილა ტრესტისა და განყოფილების ხელმძღვანელები შემდეგში არ დაუშვან ასეთი შეუწყნარებელი დამოკიდებულება მნიშვნელოვანი საქმისადმი.

სამინისტრომ სათანადო ზომები მიიღო ამხ. სახელაშვილის მიერ წამოყენებული წინადადების განსახორციელებლად.

გერმანიის კომუნისტური პარტიის ნაციონალური გამგეობის საპირველმაისო მოწოდება

ბერლინი, 27 აპრილი (საკდესი). ადნ-ის სააგენტო დიუსელდორფიდან გადმოგვცემს:

1 მაისის — მუშათა კლასის ბრძოლის საერთაშორისო დღის — მომავალ დღესასწაულთან დაკავშირებით გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობამ ყველა გერმანელს მიმართა მოწოდებით, რომელშიც ნათქვამია:

„გერმანელო კაცებო და ქალებო! გერმანელო ახალგაზრდობავ!

1952 წლის 1 მაისს მთელი მსოფლიოს მუშები და გლეხები, ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანი ძმური სოლიდარობით ცხადყოფენ თავიანთ მტკიცე გადაწყვეტილებას—იბრძოლონ მშვიდობის შენარჩუნებისა და ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის. ყველა მათგანს ეკუთვნის მშვიდობისმოყვარე გერმანელი მოსახლეობის საპირველმაისო მისალმება. გერმანელი მოსახლეობა განსაკუთრებით მიესალმება ყველა საბჭოთა მოქალაქეს და საბჭოთა ხალხის ბელადს ი. ბ. სტალინს, რომელსაც ნდობით უყურებს მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობა და რომელმაც გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების წინადადებით კვლავ დამტკიცა, რომ გერმანელი ხალხის საუკეთესო მეგობარია.

1952 წლის 1 მაისს ჩვენი ხალხი დგას ერისათვის დიდი საფრთხის წინაშე და ერის ბედისათვის უაღრესად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიღების წინაშე. დასავლეთ გერმანიას მესამე მსოფლიო ომის საფრთხე მოელის. ადენაუერს, რომელიც არღვევს გერმანელი მოსახლეობის დემოკრატიულ უფლებებს, ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს საზღაინოდ ომის გამჩაღებლებისა და გერმანელი მონოპოლისტებისა და რევანშისტების დავალებით განზრახული აქვს ხელი მოაწეროს „საერთო ხელშეკრულებას“, რომელიც ომს გვიქადის და რომლის ერთადერთი აზრი და შინაარსი მხოლოდ ის არის, რომ გერმანიის ტერიტორიაზე განაღდეს ომი და ძმათა ქლეტა.

ეს მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულება“ მოასწავებს საოკუპაციო რეჟიმის შენარჩუნებასა და განმტკიცებას და იმის მომზადებას, რომ დასავლეთი გერმანია გადაიქცეს ახალი ომის ასპარეზად. ომის ორგანიზატორებსა და მათ გერმანელ თანამონაწილეებს მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულების“ საშუალებით სურთ ხელი შეუშალონ ჩვენი სამშობლოს მშვიდობიან გაერთიანებას, განზრახ მოუსპონ გერმანელ ხალხს სამართლიანი საზავო ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა, დაამყარონ დასავლეთ გერმანიაში — ჩვენს სამშობლოში ახალი სამხედრო დიქტატურა.

ამიტომ მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულება“ იმას მოასწავებს, რომ მოისპობა მშრომელთა ელემენტარული დემოკრატიული უფლებები და გაუარესდება მათი მდგომარეობა ახალი გადასახადების შემოღებით, ფასების გადიდებით, რეალური ხელფასის შემცირებით, სოციალური კანონმდებლობის გაუქმებითა და ქანცგამწყვეტი სისტემის გაძლიერებით.

ასეთია აშკარა პოლიციური სახელმწიფოს და ახალი სამხედრო დიქტატურის შექმნის გზა.

ამრიგად, მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულება“ საფრთხეს უქმნის ყველა დასავლეთგერმანელი მუშის, გლეხის, გონებრივი შრომის მუშაკის, ისევე როგორც ყველა მოქალაქის სიცოცხლეს, რომელთა „არსებობა და საკუთრება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ მშვიდობიან, დემოკრატიულ, დამოუკიდებელ, გაერთიანებულ გერმანიაში.

ამიტომ 1952 წლის 1 მაისი არის დღე ყველა მშვიდობისმოყვარე და პატრიოტულად განწყობილი გერმანელის ეროვნული ბრძოლისა იმისათვის, რომ ხელი შეეშალოს „საერთო ხელშეკრულების“ დადებას და რაც შეიძლება მალე დაიდოს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება, რომელიც ჩვენი ხალხისათვის უზრუნველყოფდეს მთელი საოკუპაციო ჯარების გაყვანას და ჩვენს ეროვნულ ერთიანობას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პირობებში.

1952 წლის 1 მაისს ყველა გერმანელი, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი ეროვნული მოვალეობა, მძლავრ დემონსტრაციებსა და მიტინგებზე ცხადყოფს თავის მისწრაფებას—რადაც უნდა დაჯდეს ხელი შეუშალოს მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულების“ ხელმოწერას.

შეაჩერეთ ომის გამჩაღებელთა და გერმანიის დამანგრეველთა ხელი!

კომუნისტებო და სოციალ-დემოკრატებო, იმოქმედეთ ერთად! თქვენი ერთიანობა მუშათა კლასისა და ყველა მშვიდობისმოყვარე გერმანელის ერთიანობის გარანტიაა!

დაამყარეთ ასეთი ერთიანობა ყველა საწარმოში, ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციაში! იმოქმედეთ ქრისტიან და უპარტიო მუშებთან შეკავშირებულად! ცხადყავით 1 მაისს თქვენი ერთიანობა და დარაზმულობა მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულების“ წინააღმდეგ, გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისათვის!

სრულიად გერმანიის მთავრობის შესაქმნელად მთელ გერმანიაში თავისუფალი არჩევნების საკითხზე დაუყოვნებლივ შეთანხმებისათვის!

ადენაუერის მთავრობის დამხობისათვის, მთავრობისა, რომელიც ხელს უშლის ჩვენი სამშობლოს ერთიანობის აღდგენას, მთავრობისა, რომელიც ეროვნულ კატასტროფას გვიმზადებს!

1 მაისის ყველა დემონსტრაციაზე, მიტინგსა და კრებაზე თქვენი მჭიდრო ერთიანობით ცხადყავით. რომ არ დაუშვებთ, რათა ადენაუერმა ხელი მოაწეროს მილიტარისტულ „საერთო ხელშეკრულებას“. ადენაუერმა და მისმა ამერიკელმა და გერმანელმა ბატონებმა 1 მაისს უნდა შეიგნონ, რომ გერმანიის მუშათა კლასი მთელ მშვიდობისმოყვარე მოსახლეობასთან ერთად მძლავრი საპროტესტო მოძრაობის, აქტიური მოქმედების, მასობრივი გაფიცვების გზით ხელს შეუშლის მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულების“ ხელმოწერას, ხელშეკრულებისა, რომელიც ლაჰვარს სცემს ჩვენი სამშობლოს მშვიდობისა და გაერთიანების საქმეს.

შვეიცარიის კომუნისტური პარტიის საპირველმაისო მოწოდება

სტოკჰოლმი, 27 აპრილი. (საკდესი). შვეიცარიის კომუნისტური პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოაქვეყნა შვეიცარიის ყველა მშრომელისადმი საპირველმაისო მოწოდება, რომელთაც მოუწოდებს მათ 1 მაისი იდღესასწაულონ მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის ლოზუნგით.

მუშათა კლასის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, ნათქვამია მოწოდებაში, მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის საქმის დაცვა, კორეელი, ჩინელი, ვიეტნამელი და მალაიელი ხალხების წინააღმდეგ აგრესიის შეწყვეტის მოთხოვნა, კოლონიური ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის და ფაშისტური დიქტატურის ქვეყნებში—ესპანეთში, საბერძნეთსა და იუგოსლავიაში მუშათა მოძრაობისათვის მხარდაჭერა. მოწოდებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ყველა ქვეყნის მშრომელები 1 მაისს დღესასწაულობენ მშვიდობის, ხალხთა შორის თანამშრომლობისა და განიარაღების ლოზუნგებით, მოითხოვენ ბაქტერიოლოგიური და ატომური იარაღის აკრძალვას, ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადებას.

მოწოდებაში აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ატლანტიკის კავშირის სამხედრო მზადება საფრთხეს უქმნის მშვიდობას და შვეიცის ეროვნულ დამოუკიდებლობას. ნამდვილი სამშვიდობო პოლიტიკისათვის გვერდის ავლა შეშფოთებას იწვევს შვეიდების ოჯახებში.

შვეიცის კომუნისტური პარტია მოუწოდებს ყველა მშრომელს ერთსულოვნად და დარაზმულად იბრძოლონ მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დაიცვან დემოკრატიული თავისუფლებანი და უფლებანი, დაიცვან თავიანთი ცხოვრების დონე და იბრძოლონ მისი ამაღლებისათვის.

საბჭოთა აზერბაიჯანის ოცდამეთორმეტე წლისთავი

1920 წლის 28 აპრილს აზერბაიჯანში ...ამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ...ზერბაიჯანის მუშათა კლასმა და ...შრომელმა გლეხობამ ეს ისტორიული ...ამარჯვება მოიპოვეს ბოლშევიკური ...ართიის ხელმძღვანელობით, დიდი ...უსი ხალხის ძმური დახმარებით. ...ზერბაიჯანელ ხალხს ამ გამარჯვებისათვის ბრძოლაში აღაფრთოვანებდნენ ...იდი ბელადები ვ. ი. ლენინი და ი. ბ. ...ტალინი.

საბჭოთა აზერბაიჯანი ოქტომბრის ...ოციალისტური რევოლუციის პირ-...ობა. საბჭოთა ხელისუფლების დამყა-...ება ჩვენი ხალხის ისტორიული ბედის ...ირეულ გარდატეხას მოასწავებდა. ...ზერბაიჯანის მშრომელები სამუდა-...ოდ განთავისუფლდნენ კლასობრივი ...ა ეროვნული ჩაგვრისაგან, უცხოელი ...მპერიალისტების მიერ დამონების ...საფრთხისაგან. აზერბაიჯანელ ხალხს ...ეეხსნა ყველა მისი შემოქმედებითი ...ალის აყვავების ფართო გზა. განვლი-...ი 32 წელი დიად გარდაქმნათა, რეს-...უბლიკის ცხოვრების ყველა დარგში ...ესანიშნავ წარმატებათა წლები იყო. ...ამორჩენილი, ფეოდალურ-პატრიარ-...ალური ურთიერთობის ქვეყანა — ...ზერბაიჯანი გადაიქცა მოწინავე სო-...ციალისტურ რესპუბლიკად, რომელ-...საც აქვს მძლავრი მრეწველობა, მექა-...ნიზებული კოლექტიური სოფლის მეურნეობა, ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური დიდად განვი-...არებული კულტურა.

...ამჟამ საბჭოთა ხალხების მთელ ...ოჯახთან ერთად აზერბაიჯანის მშრომელებმა თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანეს საბჭოთა კავშირში სოციალიზმის აშენების საქმეში. სსრ კავშირის ყველა ხალხთან ერთად აზერბაიჯანის მშრომელები ახლა მტკიცედ მიდიან კომუნიზმის გზით.

★

ნ. გ. ჰეიდაროვი

აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

★

სახალხო მეურნეობისა და კულტურის აყვავებაში, მატერიალური კეთილდღეობის აღმავლობაში მოპოვებულ ყველა თავის წარმატებას. აზერბაიჯანელი ხალხი უნდა უმადლოდეს ამხანაგ სტალინის ყოველდღიურ ყურადღებასა და მამობრივ ზრუნვას. მეურნეობის მთელი რიგი ახალი დარგების წარმოშობა, მშენებლობის უდიდესი გაქანება, აზერბაიჯანის რუკაზე ახალი მსხვილი სამრეწველო ცენტრების გაჩენა, უდიდეს ჰიდროტექნიკურ საირიგაციო ნაგებობათა მშენებლობა—ყოველივე ეს ხორციელდება ამხანაგ სტალინის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით.

ამხანაგი სტალინი აზერბაიჯანელი ხალხის ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარების სულისჩამდგმელი და წარმმართველია.

საბჭოთა აზერბაიჯანის ოცდამეთორმეტე წლისთავს რესპუბლიკის მშრომელები ეგებებიან ომისშემდგომი მშენებლობის წლების მანძილზე მოპოვებულ ახალ შესანიშნავ წარმატებათა ვითარებაში.

რესპუბლიკის მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა 1951 წლის გეგმა, გამოუშვა 12 პროცენტით მეტი პროდუქცია, ვიდრე 1950 წელს. შესრულებულია აზერბაიჯანის სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგის — ნავთის მრეწველობის გეგმა.

რესპუბლიკაში უდიდესი გაქანებით მიმდინარეობს ახალი სამრეწველო მშენებლობა. ფართო ფრონტზე გაჩაღდა ნავთის საბადოების ძიება, სარეწბის მშენებლობა კასპიის ზღვაში. საბჭოთა სახელმწიფო უდიდეს სახსრებს აბანდებს მინგეჩაურის ჰიდროკვანძის, დაშქესანის სამადნეებისა და სხვა დიდ სამრეწველო ნაგებობათა მშენებლობაში.

აზერბაიჯანის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, მონაწილეობენ კომუნიზმის დიად მშენებლობათა შექმნაში, ბუნების გარდაქმნის გენიალური სტალინური გეგმის განხორციელებაში.

აღმავლობის გზით მიდის რესპუბლიკის სოციალისტური სოფლის მეურნეობა. რესპუბლიკის კოლმეურნეგლეხობამ, რომელიც შთაგონებულია სტალინური დავალებით—უზრუნველყოფილ იქნას აზერბაიჯანი საკუთარი წარმოების პურით, მიუხედავად გასული წლის ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, ვადამდე შეასრულა პურის დამზადების გეგმა, ჩაბარა სახელმწიფოს ორი მილიონ ხუთას ოცდაჩვიდმეტი ათასი ფუთით მეტი ხორბალი, ვიდრე 1950 წელს. რესპუბლიკაში მძლავრად განვითარდა მეგამბეობა.

საბჭოთა სახელმწიფო დიდ ზრუნვას იჩენს აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. მტკვარ-არაქსის დაბლობის ველების ვრცელ ტერიტორიებზე მიმდინარეობს უდიდესი მუშაობა არხების გასაყვანად, კულტურული მიწათმოქმედებისათვის ახალი მიწების ასათვისებლად. რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მარტო წელს უნდა მიიღონ 70.000 ჰექტარი ახალი მიწები. ველების უდიდესი სივრცეები, რომლებსაც გადასერავს სარწყავი არხების და სხვა საირიგაციო ნაგებობათა მძლავრი სისტემა, უახლოეს ხანში აყვავებულ მინდვრებად და ბაღებად გადაიქცევა.

სახელმწიფო სულ უფრო ფართო მასშტაბით აიარაღებს ჩვენს სოფლის მეურნეობას სამანქანო ტექნიკით, მექანიზაციის განხორციელებით აადვილებს შრომას მინდვრებში. უკვე ახლა თითქმის მთლიანად მექანიზებულია ხვნის, თესვისა და ბამბის დამუშავების მთელი ძირითადი სამუშაოები. სოფლის მეურნეობა იღებს ათასობით ახალ ტრაქტორს, კომბაინს, კულტივატორსა და სხვა მანქანებს.

რესპუბლიკის მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში იზრდებიან მთელი რიგი სტახანოველები, წარმოების ნოვატორები, შრომის დიდი ნაყოფიერებისა და უხვი მოსავლის ოსტატები, გამომგონებლები და რაციონალიზატორები. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში სულ უფრო ფართოდ ვიყენებთ მოწინავე საბჭოთა მეცნიერების მიღწევებს.

დიდია წარმატებანი აზერბაიჯანელი ხალხის კულტურის განვითარებაში. ერთ-ერთი ასეთი წარმატებაა საყოველთაო სავალდებულო შვიდწლიანი სწავლის შემოღება. ამჟამად ზოგადი განათლების სკოლების რაოდენობა რესპუბლიკაში 3.700-ს აღემატება. ამ სკოლებში 600.000-ზე მეტი მოსწავლეა. ათეულ ათასობით სტუდენტი სწავლობს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში.

მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები თავიანთი შემოქმედებით ხელს უწყობენ ხალხის თავდადებულ შრომას, თავიანთი წვლილი შეაქვთ სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში.

ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერების, ტექნიკისა და სოციალისტური კულტურის მზარდი სიმაღლის მკაფიო მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანში სტალინური პრემიების უკვე 183 laureატია.

მკვეთრად იცვალეს სახე საბჭოთა აზერბაიჯანის ქალაქებმა და სოფლებმა. სწრაფად იზრდება, სულ უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი ხდება რესპუბლიკის დედაქალაქი ბაქო. უკანასკნელ წლებში ბაქოს კეთილმოწყობისა და მშენებლობისათვის მუშაობა განსაკუთრებით ფართოდ გაჩაღდა. დაბალი, ძველი შენობების—ქალაქის მშენებლობაში კაპიტალისტური ანარქიის მემკვიდრეობის ადგილას — ქალაქში იქმნება მაღალ, ლამაზ და კეთილმოწყობილ შენობათა კვარტალები, ახალი ბაღები, სკვერები, მოედნები. მარტო გასულ წელს ბაქოში მწყობრში ჩადგნენ ისეთი ნაგებობანი, როგორიც არიან — ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი, სტალინის სახელობის უდიდესი სტადიონი, მოლოტოვის რაიონის ნავთის მრეწველობის მუშაკთა კულტურის სასახლე, მოზარდ მაყურებელთა ახალი თეატრი. დღესასწაულის წინადღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცა ქალაქის დამამშვენებელი ყველაზე დიდი შენობა—რესპუბლიკის მთავრობის დიდებული სახლი.

იზრდება კიროვაბადი — რესპუბლიკის მეორე სამრეწველო და კულტურული ცენტრი, კეთილმოწყობილი ხდებიან ნახჩევანი, სტეპანაკერტი, იუბა, ნუხა, ლენქორანი, ახალგაზრდა ქალაქები სუმგაიტი, მინგეჩაური და სხვები. იქ გაჩაღებულია დიდი სამრეწველო და კულტურულ-საბინაო მშენებლობა, წლითწლობით იზრდება მატერიალური. და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა რესპუბლიკის სოფლებში.

აზერბაიჯანელი ხალხის ისტორიული მიღწევანი საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 32 წლის მანძილზე თვალსაჩინოდ მოწმობენ ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის ძლევამოსილ ძალას, საბჭოთა ხალხების ურღვევ მეგობრობას, რომელიც ბოლშევიკურმა პარტიამ, ამხანაგმა სტალინმა აღზარდეს და გამოაწრთეს. საბჭოთა აზერბაიჯანი აღმოსავლეთის მიჯნაზე დგას როგორც მშვიდობის, ახალი ნათელი ცხოვრების შუქურა და უჩვენებს იმპერიალისტთა მიერ დამონებულ და დაჩაგრულ ხალხებს, თუ რა მოიქცევ მშრომელებისათვის სოციალიზმს.

ამას წინათ აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის შემადგენლობაში შეიქმნა ბაქოს და განჯის ოლქები. ამას სერიოზული მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის მთელი ცხოვრებისათვის. ოლქ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის № 2 კომიტეტში

ნიუ-იორკი, 26 აპრილი. (საკდესი). გუშინ გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის № 2 კომიტეტის სხდომა, რომლის განსახილველად წარდგენილია ამერიკის ყბადაღებული წინადადებანი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების თაობაზე ცნობების „გამოვლინებისა და შემოწმების“ შესახებ.

სხდომის დასაწყისში გამოსულმა ბრაზილიის, ჰოლანდიის დელეგატებმა და გომინდანელმა მხარი დაუჭირეს ამერიკის წინადადებებს.

შემდეგ გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი ი. ა. მალიკი, რომელმაც კონკრეტული მაგალითებით ცხადყო აგრესიული არსი ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის წინადადებებისა შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების თაობაზე ცნობების „გამოვლინებისა და შემოწმების“ შესახებ და ამხილა ამერიკის დელეგაციისა და მისი მხარდამჭერი ინგლისისა და საფრანგეთის დელეგატების ფარისევლური მტკიცება, რომლებიც ცდილობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიას თავს მოახვიონ ამერიკის წინადადებანი, რომელთაც საერთო არა აქვთ რა არც შეიარაღების შემცირებასთან, არც ატომური იარაღის აკრძალვასთან, არც საერთაშორისო მშვიდობისა და თანამშრომლობის განმტკიცების საქმესთან.

მალიკმა აღნიშნა, რომ შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შესახებ ცნობების „გამოვლინებისა და შემოწმების“ ამერიკის სისტემით, რომელშიც სიტყვაც კი არ არის ნათქვამი ატომური იარაღის აკრძალვასა და შეიარაღების შემცირებაზე, სახელმწიფოთა დიდი უმრავლესობა ჩაყენებული იქნებოდა შეერთებულ შტატებთან შედარებით უთანასწორო მდგომარეობაში. ამერიკის წინადადებანი ითვალისწინებენ, რომ ეს სახელმწიფოები არა მარტო წარმოადგენენ სრულ ცნობებს მთელი თავისი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შესახებ, არამედ გულმოდგინედაც იქნებიან შემოწმებულნი ხმელეთზე და ჰაერიდან. ამავე დროს ამ სახელმწიფოებს არ ექნებოდათ არავითარი გარანტია, რომ როცა „უკანასკნელი სტადიები“ დადგება, ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებსაც აქვთ ატომური იარაღი და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობის იარაღი, მართლაც გამომაქცევენ ამ იარაღის საიდუმლოებას, მოგვცემენ მის შესახებ სრულ ცნობებს, დათანხმდებიან ამ ცნობების შემოწმებაზე და, რაც უმთავრესია, დათანხმდებიან ატომუმური იარაღისა და სხვა სახეობის საიდუმლო იარაღის აკრძალვაზე. ასეთი გარანტია, ასეთი რწმენა შეუძლებელია და სწორედ ამიტომ არის, რომ ატომური იარაღის მქონე შეერთებული შტატები უკვე ამჟამად ეწევიან აგრესიისა და ახალი მსოფლიო ომის მომზადების პოლიტიკას და თავის ოფიციალურ პოლიტიკად აცხადებენ არა მშვიდობის, არამედ ძალის პოლიტიკას.

ამ პოლიტიკის შესაბამისად, თქვა მალიკმა, შეერთებული შტატები ეწევიან გამალებულ შეიარაღებას და, უწინარეს ყოვლისა, გამალებით ამზადებენ ატომურ იარაღს და მასობრივი მოსპობის ყველა სხვა სახეობის იარაღს. აგრეთვე საყოველთაოდ ცნობილია, თქვა მალიკმა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ძირითად სამხედრო დოქტრინას წარმოადგენს ფართო მასშტაბით ატომური იარაღისა და მასობრივი მოსპობის ყველა სხვა სახის იარაღის ხმარება. ეს ოფიციალურად აღიარებულია ამერიკის ოფიციალური პირების ოფიციალურ განცხადებებში. ამ სამხედრო დოქტრინის შესაბამისად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკვე გაჩაღეს და ეწევიან კორეისა და ჩინეთის წინააღმდეგ სამარცხვინო, უსინდისო ბაქტერიოლოგიურ ომს. სავსებით ცხადია, განაგრძო საბჭოთა წარმომადგენელმა, რომ მთელ ამ წინადადებათა აზრი ის არის, რომ მოიპოვონ, პირველ რიგში, სრული ცნობები ყველა სხვა სახელმწიფოს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შესახებ. მაგრამ საიდუმლოდ შენინახონ თავიანთი ატომური იარაღი და მასობრივი მოსპობის ყველა სხვა სახეობის იარაღი, გაადიდონ ამ იარაღის მარაგი და უკონტროლოდ იქონიონ ამერიკის სამხედრო დოქტრინის თვალსაზრისით გადამწყვეტი იარაღი და ამით შექმნან თავისთვის უპირატესი მდგომარეობა სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, რომლებსაც არა აქვთ ატომური იარაღი და რომლებმაც — ამერიკის სქემით — უნდა გამოაქცევინონ ყველა თავიანთი სამხედრო საიდუმლო საკუთარი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შესახებ. ამ სახელმწიფოთა უშიშროებას საფრთხე მოეკლინებოდა შეერთებული შტატების მხრივ მათი აგრესიული პოლიტიკთ და მათი საიდუმლო შეიარაღებით.

ილაპარაკა რა საბჭოთა წინადადებებზე, მალიკმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირი მოითხოვს ყველა იმ საკითხის ერთსა და იმავე დროს და დაუყოვნებლივ გადაწყვეტას, რომლებიც დაკავშირებულია შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის პრობლემასთან, სახელდობრ: ატომური იარაღის აკრძალვის საკითხის გადაწყვეტას, მტკიცე საერთაშორისო კონტროლის დაწესებისა და მთელი შეიარაღების თაობაზე ოფიციალური ცნობების წარდგენის შესახებ, მაშინ კომისია შეძლებს სერიოზული წვლილი შეიტანოს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების საქმეში. მაგრამ თქვენ, შეერთებული შტატების წარმომადგენელნი, ამაზე არ თანხმდებით, და, ამრიგად, შეუძლებელს ხდით შეიარაღების შემცირებას, ატომური იარაღის აკრძალვასა და საერთაშორისო ურთიერთობის გაუმჯობესებას.

ამით დამთავრდა კომიტეტის სხდომა. შემდეგი სხდომის თარიღი დანიშნული არ არის.

საბერძნეთ-თურქეთის სამხედრო მოლაპარაკება

სტამბოლი, 26 აპრილი. (საკდესი). სტამბოლიდან ათენს სამხედრო მოლაპარაკებისათვის გაემგზავრა თურქეთის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას პრემიერ-მინისტრი მენდერესი.

როგორც გაზეთ „ჯუმჰურიეთის“ ცნობიდან ჩანს, თურქეთ-საბერძნეთის მოლაპარაკების დღის წესრიგში, სხვა საკითხთა შორის, დგას ის საკითხი, თუ რამდენ ჯარს გამოყოფს ორივე ქვეყანა ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის განკარგულებაში, და საკითხი, თუ რამდენად შესაძლებელია უფრო მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობის დამყარება თურქეთსა, საბერძნეთსა, იტალიასა და იუგოსლავიას შორის.

იაპონიის პარლამენტში განიხილავენ რეაქციულ კანონპროექტს ძირგამომთხრელი მუშაობის თავიდან აცილების შესახებ

ტოკიო, 25 აპრილი. (საკდესი). გუშინ იაპონიის პარლამენტის ქვედა პალატის იურიდიულ კომისიაში დაიწყო „ძირგამომთხრელი მუშაობის თავიდან აცილების შესახებ“ რეაქციული კანონპროექტის განხილვა. კომუნისტმა ტანაკამ წინადადება შეიტანა არ განეხილათ იგი, რადგან კანონპროექტი არღვევს იაპონიის კონსტიტუციას, მაგრამ ტანაკას წინადადება უარყოფილ იქნა.

გერმანიის რემილიტარიზაციის საწინააღმდეგო გერმანელ მუშათა კომიტეტის განცხადება

ბერლინი, 21 აპრილი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო გადმოგვცემს, იმასთან დაკავშირებით, რომ ადენაუერს განზრახული აქვს ხელი მოაწეროს დასავლეთის სახელმწიფოებთან მილიტარისტულ ეგრეთწოდებულ „საერთო ხელშეკრულებას“, გერმანიის რემილიტარიზაციის საწინააღმდეგო გერმანელ მუშათა კომიტეტმა გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება:

ბონის საწარმოს „გასპერ ჰიუტეს“ 2 ათასმა მუშამ მოუწოდა მუშათა კლასს მსობრივი გაფიცვების საშუალებით შეუშალოს ხელი „საერთო ხელშეკრულების“ დადებას.

დასავლეთ გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების შტუტგარტის ორგანიზაციის კომიტეტმა, ნიურნბერგის მელითონეთა პროფკავშირის დელეგატების კრებამ წინადადება შეიტანეს დაიწყოს გაფიცვები, რათა ხელი შეუშალონ „საერთო ხელშეკრულების“ დადებას და მიაღწიონ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას.

პროფკავშირთა წევრები მოუწოდებენ დასავლეთ გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების გამგეობას დაუყოვნებლივ მიიღოს საბრძოლო ღონისძიებანი ამ მოთხოვნების შესასრულებლად.

გერმანიის ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ, რომელსაც ნათლად აქვს შეგნებული, რომ მხოლოდ დარაზმულად გამოსულ ხალხს შეუძლია შეუშალოს ხელი იმას, რომ ხელმოწერილ იქნას და ძალაში შევიდეს „საერთო ხელშეკრულება“, რომელსაც გერმანელი ხალხისათვის მოაქვს სიღატაკე, გაჭირვება და ძმათამკვლელი ომი, თავის მიმართვაში მოუწოდა გერმანელ ხალხს და განსაკუთრებით გერმანელ მუშათა კლასს ყველა გერმანელი ქალისა და კაცის ერთობლივი მოქმედებით შეუშალოს ხელი იმას, რომ ადენაუერმა ხელი მოაწეროს „საერთო ხელშეკრულებას“.

გერმანიის რემილიტარიზაციის საწინააღმდეგო გერმანელ მუშათა კომიტეტი მოუწოდებს ყველა მშრომელ ქალსა და კაცს, პარტიული და რელიგიური კუთვნილების მიუხედავად, ხალხის გადარჩენისა და მშვიდობის უზრუნველყოფის სასარგებლოდ დაუყოვნებლივ შეუდგნენ ყველა საწარმოში ისეთ ღონისძიებათა განხორციელებას, რომ დიდი პატრიოტული მოქმედებით იხსნან გერმანელი ხალხი ახალი კატასტროფისაგან.

განაგაშის სიგნალი მოცემულია! ახლა მოსალოდნელი საფრთხე თავიდან უნდა ავიცილოთ მასობრივი გაფიცვის მოწყობით! არ არსებობს ისეთი ძალა, რომ გაუძლოს გაერთიანებულ მუშათა კლასს. მოგაგონებთ კაპის პუტჩის დროს მუშათა კლასის ერთიანი მოქმედების დაუვიწყარ მაგალითს. 1920 წლის მარტში კაპისა და ლუდენდორფის გენერალთა ხროვა ბერლინში შეევდა და სამხედრო დიქტატურა დაამყარა. მაგრამ უკვე 17 მარტს დარაზმული მუშათა კლასის ერთიანი მოქმედების შედეგად კაპის დიქტატურა დაემხო. მაშინ პროფკავშირებმა და მუშათა პარტიებმა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს, რომელსაც მხარი დაუჭირა მთელმა მუშათა კლასმა. ამან შესაძლებელი გახადა რეაქციის განადგურება. დასავლეთ გერმანიის მუშათა კლასმა კაპის პუტჩის გამოცდილებიდან ის დასკვნა უნდა გამოიტანოს, რომ მუშათა კლასის ერთიანი მოქმედება დემოკრატიული უფლებების წინააღმდეგ, მშრომელთა ცხოვრების წინააღმდეგ ყოველგვარი შეტევისაგან წარმატებითი დაცვის საუკეთესო გარანტიაა, მშვიდობის შენარჩუნების გარანტიაა.

მუშათა კლასის ერთიანი მოქმედება ხელს შეუშლის ადენაუერს განახორციელოს კაპის მიზნების მსგავსი მიზნები და უზრუნველყოფს გერმანელი ხალხისათვის მშვიდობას, ერთიანობასა და თავისუფლებას!

გერმანის რემილიტარიზაციის საწინააღმდეგო გერმანელ მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე ფრიც ტრუნი.

სამხედრო მზადება დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 26 აპრილი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის გაზეთმა „ახტ-ურ-ბლატმა“ გამოაქვეყნა ასოშიეიტედ პრესის საგენტომ მიერ ბონდან მიღებული ცნობა, რომლიდანაც ჩანს, რომ უბადაღებული „ევროპის არმიისათვის“ დასავლეთ გერმანიის დივიზიების ჩამოყალიბების დროს ბონის ხელისუფალთ განზრახული აქვთ უარი თქვან ახალწვეულთა შემმოწმებელი ჩვეულებრივი სამხედრო-სამედიცინო კომისიების სისტემაზე: ნაცვლად სამხედრო-სამედიცინო კომისიისა, გაწვევა იწარმოებს ეგრეთწოდებული „ახალწვეულთა შემმოწმებელი სამოქალაქო კომისიების“ საშუალებით.

„ამ სისტემით სამხედრო ინსტანციებს, ნათქვამია ცნობაში, რჩებათ მხოლოდ ის, რომ წამოაყენონ მოთხოვნები რიცხვობრივი შემადგენლობის შესახებ და განაცხადონ: ჩვენ გვჭირდება ამდენი და ამდენი რეკრუტი“. სამოქალაქო კომისიამ უნდა გადაწყვიტოს, თუ როგორ დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნები.

ცნობის დასასრულს აღნიშნულია, რომ კანონპროექტი „ახალწვეულთა შემმოწმებელი სამოქალაქო კომისიების“ შესახებ მიმდინარე წელსვე შემუშავდება.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 26 აპრილი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით განაგრძობენ თავდაცვითს ბრძოლებს მოწინააღმდეგესთან.

ფრონტებზე განსაკუთრებული ცვლილებანი არ მომხდარა. კომსონის სამხრეთით მდებარე რაიონსა და ჩხოლვონის რაიონში მოწინააღმდეგემ არტილერიის მხარდაჭერით მთელი რიგი ადგილობრივი მნიშვნელობის იერიშები მოიტანა. სახალხო ჯარებმა უკუაგდეს მოწინააღმდეგე და ზარალი მიაყენეს მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო არტილერიის ნაწილებმა და თვითმფრინავთა გამანადგურებელმა მსროლელებმა მტრის 5 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

ფხენიანი, 27 აპრილი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით ყველა ფრონტზე განაგრძობდნენ თავდაცვითს ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელ „ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ და ზარალს აყენებდნენ მათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

26 და 27 აპრილს სახალხო არმიის საზენიტო არტილერიის ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 9 თვითმფრინავი ზურგში და ფრონტებზე.

მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

პეკინი, 27 აპრილი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტი კესონიდან გადმოგვცემს:

ორივე დელეგაციის პლენარული სხდომის წინ, რომელიც შეთანხმების მიხედვით უნდა გამართულიყო, ამერიკის მხარემ სხდომა გადადო.

25 აპრილს კორეისა და ჩინეთის მხარემ განაცხადა, რომ შეწყდეს დღის წესრიგის მე-4 პუნქტზე შტაბის ოფიცერთა დახურული სხდომები და განახლდეს აშკარა მოლაპარაკება, რათა ამრიგად ამერიკელებს არ მიეცეთ შესაძლებლობა დახურული სხდომების ფორმა გამოიყენონ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შესაყვანად.

ამერიკელებმა ჯერ შეიტანეს წინადადება სხდომა გადადებულიყო გაურკვეველი დროით და ამით აშკარად აჭიანურებენ დღის წესრიგის მე-4 პუნქტის განხილვას. შემდეგ 25 აპრილს ნაშუადღევს მათ ითხოვეს—ორივე დელეგაციის პლენარული სხდომა გამართულიყო 27 აპრილს. კორეისა და ჩინეთის მხარე, რომელიც მუდამ თანმიმდევრულად იღებდა ყოველგვარ ღონისძიებას კორეაში დაზავების რაც შეიძლება მალე მისაღწევად, 26 აპრილს დაეთანხმა ამ წინადადებას, დღეს კი კორეიის მხარემ უეცრად გადადო პლენარული სხდომა.

დღის წესრიგის მე-3 პუნქტის განმხილველ შტაბის ოფიცერთა დღევანდელ სხდომაზე კორეისა და ჩინეთის მხარის დელეგატმა კვლავ აღნიშნა, რომ დაზავების შესახებ მოლაპარაკებაში არ შეიძლება მიღწეულ იქნას პროგრესი, თუ ამერიკელებმა განაგრძეს მოლაპარაკების გაჭიანურების პოლიტიკა და უარი თქვეს საკითხების მოწესრიგებაზე.

ნორვეგიის სამხედრო მზადება

ოსლო, 26 აპრილი. (საკდესი). ნორვეგიის თავდაცვის სამინისტრომ დღეს მთავრობას წარუდგინა ეგრეთწოდებული „თავდაცვის“ სამწლიანი პროგრამის საბოლოო პროექტი.

პროგრამა ითვალისწინებს სამხედრო მზადების ხარჯებს 3,4 მილიარდი კრონის რაოდენობით.

პროგრამის ვადის დასასრულისათვის ნორვეგიას ძალა უნდა შესწევდეს მოახდინოს 240 ათასი კაცის მობილიზაცია, აქედან არმიაში უნდა იყოს 180 ათასი კაცი, ხოლო დანარჩენი 60 ათასი კაცი უნდა იყოს სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალებში. არმიამ მობილიზაციის დროს უნდა გამოიყენოს 13 ბრიგადა.

სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალებში მიმდინარე წლის ივლისიდან, ხოლო არმიაში მომავალი წლის ზაფხულიდან დიდდება სამხედრო სამსახურის ვადა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამხედრო აეროდრომების მშენებლობას, რაზეც განზრახულია დაიხარჯოს 246 მილიონი კრონი.

100 მილიონი კრონი გამოყოფილია კომუნიკაციების მშენებლობისათვის, 40 მილიონი—საწყობების მშენებლობებისათვის და 115 მილიონზე მეტი—ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ნორვეგიაში კადრის ორი ბრიგადის მოსათავსებელ ნაგებობათა შექმნისათვის.

კვლავ მარცხით დამთავრდა ინგლის-ამერიკის ბლოკის ცდები ჩაეფუშა ხალხთა და ერთა თვითგამორკვევის უფლების დეებულების შემუშავება

ადამიანის უფლებათა საკითხის კომისიაში

ნიუ-იორკი, 27 აპრილი. (საკდესი). 24 აპრილს ადამიანის უფლებათა საკითხის იმ კომისიის მე-8 სესიის სხდომაზე, რომელიც მუშაობს ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტების პროექტების მოსამზადებლად, კოლონიურმა სახელმწიფოებმა, რომლებიც ცდილობენ ყოველგვარი საშუალებით შეუშალონ ხელი ხალხთა და ერთა თვითგამორკვევის უფლების განხორციელებას, ახალი დამარცხება განიცადეს.

ადამიანის უფლებათა კომისიამ ინდოეთის წარმომადგენლის წინადადებით მიიღო შემდეგი რეზოლუცია პოლონეთისა და ეგვიპტის წარმომადგენლების მიერ შეტანილი შესწორებებით:

„ადამიანის უფლებათა კომისია.

წინადადებას აძლევს ეკონომიურ და სოციალურ საბჭოს მიიღოს და გადასცეს გენერალურ ასამბლეას ქვემოთ მოყვანილი რეზოლუცია, შედგენილი გენერალური ასამბლეის იმ რეზოლუციის შესაბამისად, რომელიც შეეხება ხალხთა და ერთა თვითგამორკვევის უფლების დაცვას საერთაშორისო მასშტაბით;

იღებს რა მხედველობაში, რომ უადრესად მნიშვნელოვანია ბოლო მოეღოს ხალხთა და ერთა მონობას, ისე როგორც ცალკე პირთა მონობას, რადგან ადამიანის მონობა არღვევს ადამიანის ძირითად უფლებებს, რომლებიც გამოცხადებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში;

იღებს რა მხედველობაში, რომ ასეთი მონობა არსებობს, როცა ამა თუ იმ სახელმწიფოს ხელშია სხვა ხალხის ბედი;

იღებს რა მხედველობაში, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 1 და 55 მუხლების მიზანია ერების მეგობრული ურთიერთობის განვითარება ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპის პატივისცემის საფუძველზე საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის;

გენერალური ასამბლეა იძლევა რეკომენდაციას:

1. რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები მხარს უჭერდნენ ხალხთა და ერთა თვითგამორკვევის პრინციპს და პატივს სცემდნენ მათს დამოუკიდებლობას;

2. რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები ცნობდნენ და ხელს უწყობდნენ მათს მმართველობაში მყოფი იმ ხალხების თვითგამორკვევის უფლების განხორციელებას, რომლებიც მოსახლეობენ არათვითმართველ და სამეურვეო ტერიტორიებზე, და ანიჭებდნენ მათ ამ უფლებას, როცა ისინი მოითხოვენ თვითმმართველობას, ამასთან არკვევდნენ ხალხის სურვილს პლებისციტის საშუალებითაც, რომელიც უნდა მოეწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელმძღვანელობით“.

ამ რეზოლუციამ მიიღო 11 ხმა. რეზოლუციის წინააღმდეგ ხმა მისცეს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიისა და ავსტრალიის წარმომადგენლებმა.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა სცადეს ამ რეზოლუციისათვის დაეპირისპირებინათ თავიანთი რეზოლუციები, რომლთა მიზანია შეცდომაში შეიყვანონ საზოგადოებრივი აზრი და ხელი შეუშალონ გენერალური ასამბლეის რეკომენდაციის შემუშავებას ხალხთა და ერთა თვითგამორკვევის უფლების საკითხზე.

ამერიკა-ინგლისის ბლოკის ეს მანევრი ჩაიფუშა, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი იძულებული გახდა მოეხსნა კენჭისყრიდან თავისი რეზოლუცია. საფრანგეთის რეზოლუცია უარყოფილ იქნა.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს, რომ ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ ინდოეთის რეზოლუციის მიღება კოლონიურ სახელმწიფოთა მორიგი დამარცხებაა.

სამეცნიერო სესია

29 და 30 [illegible] ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტ[illegible] საბჭოთ[illegible] [illegible] მიძღვნილ სამეცნიერო სესიას, რომელზეც [illegible] მენილ იქნება შემდეგი მოხსენებები: დოცენტ[illegible] ა. კოკორეკი — საბჭოთა ხელისუფლების გამარ[illegible]ვება აზერბაიჯანში; დოცენტი გ. ზარადალიშვ[illegible] — საბჭოთა აზერბაიჯანი; პროფესორი ი. კ[illegible]ძე — გეოლოგიურ მეცნიერებათა განვითარ[illegible] აზერბაიჯანში; ფ. ლომაშვილი — ბაქოს 19[illegible] წლის გაფიცვა; ბ. ელენტი — მოძმე აზერბ[illegible]ჯანის საბჭოთა ლიტერატურა.

სესია გაიმართება უნივერსიტეტის საა[illegible] დარბაზში. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ფეხბურთი

26 აპრილს ბაქოში სტალინის სახელ[illegible] სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ რიგის „ლ[illegible] გავას“ და მოსკოვის „დინამოს“ გუნდები. შ[illegible] ჯიბრება მოიგეს დინამოელებმა ანგარიშით 2:[illegible]

27 აპრილს კიევში ხრუშჩოვის სახელ[illegible] სტადიონზე თამაშობდნენ საბჭოთა არმიის ც[illegible] ტრალური სახლისა და კიევის „დინამოს“ ფ[illegible] ბურთელები. შეჯიბრებაში გაიმარჯვეს არმ[illegible] ლებმა ანგარიშით 2:0.

ამავე დღეს ბაქოში მოსკოვის „სპარტაკის[illegible] და სტალინის „შახტიორის“ ფეხბურთელ[illegible] გუნდების შეჯიბრება დამთავრდა მოსკოველ[illegible] გამარჯვებით ანგარიშით 3:1.

ხარკოვში გამართული შეჯიბრება მოსკ[illegible] „ტორპედოსა“ და ქალაქ კალინინის გუნდ[illegible] შორის დამთავრდა კალინინელთა გამარ[illegible]ბით 1:0.

თბილისში ლ. პ. ბერიას სახელობის „დ[illegible] მოს“ სტადიონზე გაიმართა ამხანაგური შ[illegible] ჯიბრება ფეხბურთში. თამაშობდნენ სამხედ[illegible] საჰაერო ძალებისა და ლენინგრადის „ზენიტ[illegible] გუნდები. გამარჯვება მოიპოვეს მფრინავებ[illegible] ანგარიშით 2:1.

დისპუტი ქართული პროზისა და პოეზიის საკითხებზე

სამშაბათს, 29 აპრილს, საღამოს 8 საათზ[illegible] საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირ[illegible] პრეზიდიუმი მართავს დისპუტს თემაზე „195[illegible] წლის ქართული პროზა და პოეზია“.

მოხსენებებს წაიკითხავენ: დ. ბენაშვილ[illegible] (პროზა) და კ. კალაძე (პოეზია).

კამათში მონაწილეობას მიიღებენ პროზაიკ[illegible]სები, პოეტები, კრიტიკოსები.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — თბილისის პირველი ს[illegible] ოლქო პარტიული კონფერენციის მისალმ[illegible] ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართ[illegible] ველოს ცნობა საქართველოს სსრ სახალხო მ[illegible] ურნეობის განვითარების 1952 წლის პირველ[illegible] კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულებ[illegible] შედეგების შესახებ.

საინფორმაციო ცნობა საქართველოს კ. პ. ([illegible] თბილისის საოლქო კომიტეტის პლენუმის შეს[illegible] ხებ.

მეორე გვერდი — თბილისის პირველი ს[illegible] ოლქო პარტიული კონფერენცია.

ნ. ჰეიდაროვი — საბჭოთა აზერბაიჯანი[illegible] 32-ე წლისთავი.

გაზეთი „გამარჯვება“.

ნ. გომელაური—ლითონის წარმოების ახალ[illegible] აღმავლობისაკენ.

მესამე გვერდი — ი. ჩერქეზიშვილი — „ფ[illegible] ლადი“ (რუსთაველის სახელობის თეატრის ახ[illegible] ლი დადგმა).

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირ[illegible] მოკლედ მნიშვნელოვან საკითხზე (მკითხველ[illegible] თა წერილების მიხედვით).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განი[illegible] რაღების კომისიის № 2 კომიტეტში.

მეოთხე გვერდი — გერმანიის კომუნისტურ[illegible] პარტიის გამგეობის საპირველმაისო მოწოდ[illegible] უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექცია იუწყება, რომ 1 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით მუზეუმის ფილიალი და ავლაბრის ყოფილი არალეგალური სტამბა 2 მაისს ღია იქნება დილის 9 ს. 30 წ. საღამოს 6 საათამდე (ტელეფონის №№ — საექსკურსიო ბიუროსი — 3-14-84 ან კომუტატორით — 3-05-60; ავლაბრის სტამბისა — 3-41-84).

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატრიაშვილი

გერმანიის სამხედრო მზადება დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 26 აპრილი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის გაზეთმა „ახტ-ურ-ბლატმა“ გამოაქვეყნა ასოშიეიტედ პრესის საგენტოს მიერ ბონდან მიღებული ცნობა, რომლიდანაც ჩანს, რომ უბადაღებული „ევროპის არმიისათვის“ დასავლეთ გერმანიის დივიზიების ჩამოყალიბების დროს ბონის ხელისუფალთ განზრახული აქვთ უარი თქვან ახალწვეულთა შემმოწმებელი ჩვეულებრივი სამხედრო-სამედიცინო კომისიების სისტემაზე: ნაცვლად სამხედრო-სამედიცინო კომისიისა, გაწვევა იწარმოებს ეგრეთწოდებული „ახალწვეულთა შემმოწმებელი სამოქალაქო კომისიების“ საშუალებით.

„ამ სისტემით სამხედრო ინსტანციებს, ნათქვამია ცნობაში, რჩებათ მხოლოდ ის, რომ წამოაყენონ მოთხოვნები რიცხვობრივი შემადგენლობის შესახებ და განაცხადონ: ჩვენ გვჭირდება ამდენი და ამდენი რეკრუტი“. სამოქალაქო კომისიამ უნდა გადაწყვიტოს, თუ როგორ დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნები.

ცნობის დასასრულს აღნიშნულია, რომ კანონპროექტი „ახალწვეულთა შემმოწმებელი სამოქალაქო კომისიების“ შესახებ მიმდინარე წელსვე შემუშავდება.

სამხედრო მზადება დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 26 აპრილი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის გაზეთმა „ახტ-ურ-ბლატმა“ გამოაქვეყნა ასოშიეიტედ პრესის საგენტოს მიერ ბონდან მიღებული ცნობა, რომლიდანაც ჩანს, რომ უბადაღებული „ევროპის არმიისათვის“ დასავლეთ გერმანიის დივიზიების ჩამოყალიბების დროს ბონის ხელისუფალთ განზრახული აქვთ უარი თქვან ახალწვეულთა შემმოწმებელი ჩვეულებრივი სამხედრო-სამედიცინო კომისიების სისტემაზე: ნაცვლად სამხედრო-სამედიცინო კომისიისა, გაწვევა იწარმოებს ეგრეთწოდებული „ახალწვეულთა შემმოწმებელი სამოქალაქო კომისიების“ საშუალებით.

„ამ სისტემით სამხედრო ინსტანციებს, ნათქვამია ცნობაში, რჩებათ მხოლოდ ის, რომ წამოაყენონ მოთხოვნები რიცხვობრივი შემადგენლობის შესახებ და განაცხადონ: ჩვენ გვჭირდება ამდენი და ამდენი რეკრუტი“. სამოქალაქო კომისიამ უნდა გადაწყვიტოს, თუ როგორ დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნები.

ცნობის დასასრულს აღნიშნულია, რომ კანონპროექტი „ახალწვეულთა შემმოწმებელი სამოქალაქო კომისიების“ შესახებ მიმდინარე წელსვე შემუშავდება.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

(რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

30 აპრილს

06.25 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები; 07.30 — ქართული ხალხური სიმღერები; 09.20 — საბჭოთა კავშირის ხალხთა მუსიკა; 11.10 — ქართველ კომპოზიტორთა დუეტები ალტისა და ფორტეპიანოსათვის; 17.15 — ქართველ კომპოზიტორთა რომანსები და სიმღერები; 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის; 19.15 —საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის დავით ანდღულაძის კონცერტი.

(რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

20.30 — რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის; ქალაქის ქსელით — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები; 20.45—სიმფონიური მუსიკის კონცერტი: 21.00 — ლექცია კადრების ეკონომიური თვითგანვითარებისათვის: „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა საკოლმეურნეო სიმდიდრის და კოლმეურნე გლეხობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდის წყაროა“; 22.30 — ლიტერატურული გადაცემა: რადიოკომპოზიცია: „გამარჯვების დროშა“. 23.15 — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის მერი ნაკაშიძის კონცერტი; 00.05 — საესტრადო მუსიკის კონცერტი.

ᲓᲦᲔᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

ოპერისა და ბალეტის — იოლანტა (მე-9 აბ.); **რუსთაველის სახელობის** — საშობლო; **მარჯანიშვილის სახელობის** — ლამაზი მამაკაცი; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ბაში-აჩუკი (7 ს.); **თოჯინების ქართული** — დათუნაის ქოხი (11½ და 1 ს.), წიქარა (3 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — რომეო და ჯულიეტა (5 ს.); **სანკულტ